

Годъ изданія III-й

ԹԱՐՅԱ ՀԱՅԱՍՏԱՆ

ГОРОДЪ

И ЗЕМСТВО

ՅԱՆՈ ԵՊԵԶԻՐՈՒՄ 50 ԹՏԲ.

Цѣна номера 50 руб.

№ 8

Թիֆլիս

1920 թ.
июнь

Խայերութեալ ընթացք. յաղաքու գազմուն եցածն.

მიმღება ხელის მოწერა 1920 წლისათვის.

უოფელ-თვიური უურნალი

ქართული და ქართული განცხადები

12 № გელიაზი.

გელიაზი 80-3:

(ყოფილი უურნალი „კაცკასის ქალაქი“).

ორგანო ეროვათა და ქალაპთა კავშირისას.

გამოდის ქართულ და რუსულ განცხადებებით.

ჩედაქტორები: ა. ს. ბრიტნევისა და ლ. ი. ნათაძე.

ხელისმომწერის პირობანი: განცხადების ფასი:

ერთი წლით 500 მან. პეტიონის სტრიქ. ტექ. წინ—15 მ.

ნახევარი წლით 275 „ ვინც ქალაქთა და ერთ. მმართვე-

სამი თვით 140 „ ლობებში ალაგს ეტბენ, მათ გადა-

ცალკე ნომერი 30 „ ხდებათ ნახევარი.

უურნალი მისნათ ისახავს ოდგილობ. მართველ, თეორიულ და პრაქტიკ. საკითხების ყოველ

მხრივს გარკვევა-გაშუქებას, მის იღების განმტკიცებას და გაფართოებას.

უურნალში მოთავსებულ წერილებში შემდეგი საკითხების იყო გარკვეული: ქალაქის და

ერთის მომსახურის მისამართის და მუნიციპალიტეტის მუნიციპალური უფლება,

მედიცინა, სანიტარია, საბაზო განათლება, გზები, შეუსახლის საქმე, სტატისტიკა და სხ.

იმპერიული კორსპონდენციები ადგილებდნა, ქრონიკა, ბიბლიოგრაფია, საკალდებულო

დაგრძნილებანი.

რედაქციისა და კანტორის მიუოფება: თბილისი, პუშკინის ქუჩა,

3 ქალაქთა კავშირის ბინა. ფელეფონი 1-78.

СОЮЗЪ ГОРОДОВЪ

РЕСПУБЛИКИ ГРУЗИИ

симъ объявляетъ, что Министерствомъ Финансовъ, Торговли и Промышленности Республики Грузия разрѣшено Союзу Городовъ ПРИНИМАТЬ на свои склады съдующіе изъ заграницы товары съ СОХРАНЕНИЕМЪ ДЛЯ НИХЪ ПРАВА ТРАНЗИТА безъ особаго разрѣшенія на вывозъ изъ предѣловъ Республики.

Съ заявленіями о принятіи товаровъ въ транзитный складъ Союза Городовъ и за всѣми справками по данному вопросу надлежитъ обращаться:

въ Тифлисѣ—въ Коммерческій Отдѣлъ Союза Городовъ Гоголевская ул.. 51, тел. 11-54,

въ Батумѣ—къ агенту Союза Городовъ С. Г. Спектору— Смѣкаловская, 13, кв. Вардзелова,

въ Поти—временио къ Н. Глонти, Продовольствійный Отдѣлъ Городской Управы.

Въследствіе отказа Комитета Земствъ отъ участія въ расходахъ по изданию журнала „Городъ и Земство“, впредь журналъ будетъ высылаться только тѣмъ подписчикамъ, которые внесли подписную плату въ контору редакціи: Союзъ Городовъ, Пушкинская, 3.

5674

ՕՐԹՅԱ ԳՎԱՅԻՆ

Թ հ օ ս բ ո


ԵԿՄՅԱԼԻ ՊԵ ԱՎԱՋՈՒ ՀՅԱՅՈՒԹՈՒՆ

ՅՈՒԺՈՒՑՈՒՅՆ ԾԱՄԵՑՅԱ ԹՍԲՈՒՅՈՒՆ ՅՈՒԺՈՒՅՆ ՅԵՏԵԿՅՈՒՆ ՅԵՏԵԿՅՈՒՆ.

ГОРОДЪ И ЗЕМСТВО

Органъ Союзовъ Городовъ и Земствъ Республики
Грузіи.

Ежемѣсячное изданіе по вопросамъ муниципальной жизни.



№ 8

Թ օ ֆ լ ո ն ո
Տիֆլիս

19 ս ե ն ո ն ո ւ 20 դ.
նոյն



Ч 0 6 5 5 6 0:

§ 565560:

839рд.

1. თოფურიძე—სახელმწიფო და კომუნა	3—11
2. კაკაბაძე—შინამრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში.	11—21
3. პროც. ს. აგალიანი—ერობის თვითმმართველობები და გადასახადების აკრეფი	21—24
4. დავითაია—კიდევ საფურთო გადასახადზე	24—28
5. ლაშვაური—ვეტერინარული დაწესებულებანი: მთავრობის, ერობის, სამხედრო და ქალაქის და მათი უზრიერთობა	28—34
ცნობები. ადგილებიდან:	34—35
ქრონიკა.	

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენლების მესამე ყრილობა.

რ უ ს უ ლ ა ღ.

1. კოჭლოვაკი—სახელმწიფოს მონოპოლიის როლი ერობათა და ქალაქითა ბიუჯეტებში	1—8
2. ახობაძე-ტკაჩევი—ქალაქ. საბიუჯეტო უფლება. საკითხისაკენ	8—14
3. მიხაილოვიჩი—კომუნალური კრედიტი, მისი სისტემა და მოვანიზაცია	14—21
4. გონიაროვი—მიწის დაბეგვრის შესახებ	21—26
5. იანოვიჩი—ქალაქის და ერობის ცხოვრება (მიმოხილვა)	26—46
საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენლების მე- სამე ყრილობა	47—48

С о д е р ж а н и е:

На грузинскомъ:

Страницы

Д. Топуридзе.—Государство и коммуна	3—11
В. Какабадзе.—Вопросъ развитія внутренней промышленности въ Грузіи	11—21
Проф. С. Аваліани.—Зем. самоуправлінія и сборъ налоговъ.	21—24
Л. Давитая.—Еще о попудномъ сборѣ	24—28
В. Лашхаури.—Ветеринарныя учрежденія: правительства, земства, воен. вѣд. и города и взаимоотношения ихъ	28—34
Извѣстія съ мѣстъ	34—35
III-ій Съездъ Городовъ Республики Грузіи.	

На русскомъ:

Страницы

Е. Козловскій.—Роль государственныхъ монополій въ бюджетѣ земствъ и городовъ	1—8
В. Ахобадзе-Ткачевъ.—Къ вопросу о бюджетныхъ правахъ городовъ	8—14
В. Михайловичъ.—Коммунальный кредитъ, его система и организація	14—21
А. Гончаровъ.—Къ вопросу о поземельномъ обложении.	21—26
В. Яновичъ.—Городская и Земская жизнь (обзоръ)	26—46
III-ій Съездъ Городовъ Республики Грузіи.	47—48

სახელმწიფო და კომუნა.

V *).

ხალი სახელმწიფო.

დემოკრატიის მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის და სოციალისტური წესწყობილების ხანის მოახლოებისათვის საუკეთესო საშუალება არის დემოკრატიული ერობა. ხალხის ცხოვრება ერობის ზევავლენით თანდათან რთულდება და ვითარდება, და ამიტომ საჭიროა ერობა თავისუფლად განავებდეს თავის საქმეებს. ინგლისში ეს პრინციპი შეითვისა, და იქ ერობის საქმეებში ჩარევის უფლება მთავრობას არა აქვს. ინგლისში ერობა სრულიად არ ემორჩილება მთავრობას, და ცენტრალური მთავრობა და ერობა, როგორც სამართლიანად ამბობს ახალგაზლა პუბლიკისტი გ. ნანეიშვილი, ერთ რიგში აღიმართებიან პარლამენტის წინაშე.

ინგლისის კანონმდებლობა და პრაქტიკა ერთნაირ მნიშვნელობას ანიჭებენ მთავრობას და ერობას.

მხოლოდ პარლამენტს შეაქვს ცვლილება არსებულ უფლებრივ და მაცერიალურ მდგომარეობაში, და არავითარ შემთხვევაში ამ მდგომარეობის შეცვლა მთავრობას არ ეყისრება; მას არა აქვს უფლება არსებულ განწყობილებათა ოდნავ გადასხვაფერებისა. მაავრობა მხოლოდ არსებულ ნორმების, კანონის დამცველი ძალაა, ძალა, რომელსაც ევალება კანონის მიხედვით საშუალება მისცეს პირთ და დაწესებულებათ, რომ მათ თავისუფლად ისარგებლონ პარლამენტის-მიერ აღიარებულ უფლებებით.

თავისუფლების ასეთი უაღრესი გარანტია უნდა ჰქონდეს ერობას. ამიტომ მთავრობის და ერობის უფლებები და მათი ურთიერთობა საჭიროა კანონით მკაფიოდ და ნათლად იქნეს გამორკვეული და განსაზღვრული. ერობის მოღვაწეობას, მის კულტურულ და მატერიალურ შემოქმედებას მთავრობის ორგანიზაცია წინ არ უნდა ეღობებოდეს, რომ ერობის, ე. ი. მთელი ხალხის სახელმწიფო თავისუფლების აღმაშენებლობა, მისი სწრაფი წინ სვლა არ შეფერხდეს. მაგრამ სანამ ერთი მხრით სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოები,— პარლამენტი და მთავრობა,— და მეორე მხრით— ქალაქ-ერო-

*) აქ იბეჭდება ორი თავი ჯერ დაუმთავრებელ შრომისა, რომლის საერთო სა-
თაურია: სახელმწიფო და კომუნა.

ბათა ორგანიზაციები შენდებიან ცალ-ცალქე და არა როგორც ერთი სრულიად გაერთიანებული ორგანიზაცია, მანამ ქალაქ-ერობის მუშაობა, ერის წინსვლა ნორმალურ პირობებში ჩაყენებული არ იქნება. ყველასთვის ადვილი გასაგებია, რომ პარალელური მუშაობა ერობათა და მთავრობისა ეკონომიურ და კულტურულ სფეროში ზედმეტ მატერიალური და გონებრივი ენერგიის ხარჯვას იწვევს და მეტ ღროსაც მოითხოვს, ე. ი. სახელმწიფო ზედმეტ შრომას ეწევა და თავის მიზანს უფრო გვიან აღწევს.

მე მოხარული ვარ, რომ ჩვენი ერობათა ყოფილი მეთაური, აწ სამხედრო მინისტრი, გრ. ლორთქიფანიძე, ამ საკითხის შესახებ იზიარებს (Борьба, 18/XII—1919) იმ აზრს, რომელიც მე გავატარე ჩემ მოხსენებაში 26 თებერვალს 1919 წლ. ერობათა ყრილობაზე.

„ნორმალურ პირობებში—ამბობს გრ. ლორთქიფანიძე—ისეთი ჰატარა ქვეყნის მთავრობა, როგორიც არის საქართველო, უთუოდ უნდა გადაიქცეს ისეთ სამეურნეო ორგანოთ, როგორიც არის ერობა. მთავრობის მოვალეობათა შორის პოლიტიკურ ფუნქციებს დღეს მეტი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს მოვლენა დროებითი და არა ნორმალურია და მას ბოლო მოელება. რადგან მთავრობას და ერობას ერთი და იგივე ფუნქციები აქვთ, განაგრძობს გრ. ლორთქიფანიძე,—ადრე თუ გვიან უნდა მოხდეს სახელმწიფო და ერობის ცენტრთა სინთეზი“.

ჩვენ გვაქვს საბუთი და საფუძველი, რომ ეს სინთეზი ადრე თუ გვიან უთუოდ მოხდება. მართლაც ხომ—ყველა დარგი სახელმწიფოს ეკონომიური და კულტურული ცხოვრებისა — აღმინისტრაცია, იუსტიცია, განათლება, მეურნეობა და სხვა,—სავსებით ერობათა საქმეა. ყველა ეს საქმეები სახელმწიფოს მთელი არსებობის შინაარს შეადგენენ და იმავე დროს ერობათა და მათი ცენტრის მოქმედების სფეროში სავსებით თავსდებიან. ამიტომ ნამდვილ დემოკრატიულ სახელმწიფოში, ქალაქ-ერობათა ცენტრები და მთავრობა უნდა იქნეს გაერთიანებული, და პარლამენტი ერობათა და ქალაქთა ხმოსნებისაგან უნდა შესდგებოდეს. ამნაირად მოწყობილი პარლამენტი და მთავრობა იქნება გაგრძელება თემის, მაზრის, ერობის და ქალაქის თვითმმართველობის. მისი არხიტექტურა იქნება ლამაზად ჩამოყალიბებული, ცხოვრებასთან სავსებით შეთანხმებულ-შეზავებული და მტკიცე ნიადაგზე მტკიცედ დაყარებული.

ასეთი პარლამენტი და მთავრობა იგივე თავის ბუნებრივ საზღვრამდე გაფართოებული და განვითარებული ერობა იქნება. ამნაირად სახელმწიფოს მოწყობა სახელმწიფო ხარჯებს დიდათ შეამცირებს; დიდათ შემცირდება მოხელეთა რიცხვი და საქმეც უფრო კარგათ და ადვილათ გაკეთდება. ამნაირად გაერთიანებული მართვა-გამგეობა ნამდვილი დემოკრატიული პრინციპის გამტარებელი ძალა იქნება; ასეთი გამგეობა მცირე სიმდიდრის დახარჯვით გაცილებით მეტს გააკეთებს, ვინენ თანამედროვე დულისტური სახელმწიფო, რომლის მთავრობა და პარლამენტი ერთი მხრით

—და ერობები მეორე მხრით—თავისი არხიტექტურით და მომდინარეობით არ არიან ერთი მეორესთან ორგანიულათ გაერთიანებული: ისინი არსებობენ პარალელურად და მათ შორის ხდება მხოლოდ მეტოქეობა—შეთანხმება, რაც ზედმეტი ენერგიის და სიმდიდრის დახარჯვას იწვევს.

დემოკრატიულ ერობის ანუ კომუნის ნიადაგზე უნდა მოხდეს ის აუცილებელი სინთეზი, რომელიც გააერთიანებს, გაამოიანებს და გააჯანსაღებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობას. ამნაირად აშენებულ სახელმწიფოს ვერავითარი პოლიტიკური ქარიშხალი ვერ დაანგრევს:

მაგრამ კომუნალურად მოწყობილი რესპუბლიკა ბოლშევიკურ კომუნისტურ რესპუბლიკისაგან ძირითადათ განსხვავდება; მას საოუზვლათ წმინდა დემოკრატიული პრინციპი ედება, რომელიც მარქსის სოციალ-პოლიტიკურ პრინციპთან სავსებით არის შეთანხმებული. კომუნალურად მოწყობილ რესპუბლიკაში ყველა სარგებლობს თანასწორი უფლებით; იქ დემოკრატია ითვალისწინებს ეკონომიკური ევრალიუციის პირობებს და ამ პირობათა მიხედვით განავებს რესპუბლიკის საქმეებს.

სულ სხვანაირია ბოლშევიკური კომუნიზმი. ეკონომიკური მდგრამარეობა და ურთიერთობა ბოლშევიკების სოციალ-პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებით შეიძლება მხოლოდ დაინგრეს. კომუნალურად, დემოკრატიულად შექმნილი რესპუბლიკის მთავრობა და პარლამენტი კი სიფრთხილით უგლიან ქვეყნის საქმეს და მის ქონებას და გადადგამენ იმგვარ ნაბიჯს, რომელიც ეროვნულ სიმდიდრეს გადაიდებს, მის სისწრაფით ზრდას ხელს შეუწყობს, და ამით ხალხის მდგრამარეობას გააუმჯობესებს და ერს გააძლიერებს.

კომუნალურად სახელმწიფოს აშენება, თანამედროვე სოციალ-ეკონომიკურ პირობებთან შეთანხმებით ახალი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა შეიძლება არსებულ წყობილების მხოლოდ თანდათან გარდაქმნით. საქართველოს დამფუძნებელი კრება ახლო მომავალში იმედია შეიმუშავებს და დააკანონებს რესპუბლიკის ძირითად დებულებებს და დაამთავრებს იმ მუშაობას, რომლისთვისაც ის ერის მიერ მოწვეულია. როდესაც დამფუძნებელი კრება თავის მიზანს მიაღწევს, მაშინ, თუ მან თავისთავი პარლამენტად არ გამოაცხადა, შეიძლება თითოული ერობის კრების და ქალაქის საბჭოს განსაზღვრულ წევრთა რიცხვისაგან პარლამენტი შესდგეს, როგორც დამფუძნებელ კრების მემკვიდრე. მომავალში მაინც, რადგან საპარლამენტო და საერობო არჩევნების პრინციპი ერთი და იგივეა, ყოველმხრივ მიზან-შეწონილი იქნება, თუ საპარლამენტო და საერობო არჩევნებს ერთად მოვახდენთ. ამნაირად ფულიც და ღროც ერს ნაკლები მოუნდება, და ამასთანავე ერი შეიგნებს, რომ სწორად გაგებული ქალაქ-ერობის ინტერესი და სახალმწიფოს ინტერესი ერთი მეორესაგან არ განსხვავდება და მათ შორის წინააღმდეგობა გაუგებრინბის და უმეცრების ნაყოფია.

ამ წესით არჩევნების მოხდენა ტეხნიკურად ადვილი საქმეა. სამაზრო

ერობათა და ქალაქთა და აგრეთვე პარტიათა შორის პარლამენტის წევრთა რიცხვი დფილი გასანაშილებელია. ერობის არჩევნის სიების თავში მოქცეული პირებიდან განსაზღვრული რიცხვი იქნება პარლამენტის წევრათაც. არჩევნების საკითხის გამორკვევა და სწორად მისი გადაჭრა — ისეთი დეტალია, რომელიც ამ დიდ საქმის მოგვარებაში არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ასეთნაირად შექმნილი პარლამენტი იქნება ერობის გაგრძელება და ერობის შენობის დამთავრება. ასეთი პარლამენტი უკეთ გაარკვევს და გაარჩევს ქვეყნის საქმეებს. პარლამენტი იქნება ერობათა ყრილობა, ერობათა უმაღლესი ინსტანცია და ამავე დროს ერის უაღრესად ავტორიტეტული და უზენაესი სახელმწიფოებრივი ორგანო. აქ მოხდება ყველა ადგილობრივ ინტერესთა შეთანხმება, სინთეზი და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მათი განხილვა და გადაწყვეტა. ასეთი ცენტრი აგრეთვე იქნება სინთეზი ერობათა და მათი განსახელმწიფოება; ერობათა და სახელმწიფოს ცენტრების ორგანიულად შედებება და გაერთიანება. ასეთი პარლამენტისაგან შექმნილი მთავრობა იქნება ნამდვილი დემოკრატიული მთავრობა, რომელიც ნაკლებათ იქნება შეძყრობილი ბიუროკრატიული სენიორის და ერობის ბუნებათა შორის განსხვავება მოისპობა, მათ შორის არსებული სულიერი განწყობილებაც შეიცვლება ისე, როგორც ამას მოითხოვენ ახალი საზოგადოებრივი და პოლიტიკური პირობები. სახელმწიფოს მართვა-გამგეობა უკვე თანდათან გადადის ერობის მოქმედების სფეროში, და ამას ამტკიცებს მუნიციპალური ბიუჯეტის სახელმწიფოს ბიუჯეტთან შედარება. რეგლისში მუნიციპალები ამხრით კონკურენციის გარეშეა, და ჩვენ მოვისხენიებთ მხოლოდ ზოგიერთ სხვა სახელმწიფოებს.

სახელმწაფოს ბიუჯეტთან შედარებით მუნიციპალური ბიუჯეტი შეადგინდა (1910 წ.): დანიაში — 87,2%, შვეიცარიაში — 62,5%, ავსტრიაში — 24,4%, რესეტში კი (ფინლანდიის გამოკლებით) — 8,3%.

სოციალური ეკოლოგიურია, დემოკრატიის თვითშეგნების ზრდა, სოციალისტურ იდეის მომწიფება და მის მებრძოლ ძალთა გაძლიერება მოითხოვენ არსებულ სახელმწიფოს ორგანიზაციის გარდა ქმნას და მის აშენებას ახალ ნიადაგზე, როგორიც არის ერობა ანუ კომუნა. მაგრამ ყოველგვარ გაუკებრობის თავიდან ასაცდენათ ვიმეორებ, რომ ერობის ას კომუნის პრინციპი და ბოლშევიკურ-კომუნისტური პრინციპი არამც თუ ერთო ივივე არაა, ისინი ერთიმეორის უარყოფაა. ბოლშევიკური-კომუნიზმი უარ-ჰყოფს ეკონომიურ ცხოვრებაში ევოლიუციის, ბუნებრივი აუკილებელი თანდათანობის პრინციპს და პოლიტიკურ აღმშენებლობაში უარჲყოფს დემოკრატიულ ნიადაგს; ის უბრუნდება უტობისტ-სოციალისტებს და მათთან ბაკუნინის ანარხიზმისაც. ის ეყრდნობა არა — პროგრესიულ ძალებს. ბოლშევიკები, როგორც ძევლი ჰლავიანოფილები და შემდეგ „ნაროდი-კები“ მედიდურობენ ევროპის წინაშე, და ფიქრობენ, რომ ეკროპა — ამე-

რიკაზე აღრე განხორციელდება სოციალიზმი კუნომიურად, პოლიტიკურად და კულტურულად დაბალ საფეხურზე მდვომ რესეთში. ამ მიზნისათვის ბრძოლაში ბოლშევიკები უწვდიან ხელს ოსმალეთს და აზიის ჩამორჩენილ ხალხებს, უწვდიან იმ ხელს, რომელიც მათ აღრე გაუწიდეს ევროპის პროლეტარიატს და რომელმაც ეს ხელი მათ არ ჩამოართვა. ევროპის პროლეტარიატმა ბოლშევიზმი და მისი უტოპია უარპყო.

ჩვენ ვუყურებთ ბოლშევიზმს, როგორც აუცილებელ პოლიტიკურ მიწისძერას, რომელიც გამოწვეულია დაგუბებულ ძალთა ამოხეთქით. რევოლუციას მოჰყვა ბრმა ენერგიის, ბრძოთა უმეცრების აფეთქება და საშინელი ნიაღვარის გაღმოხეთქვა. მაგრამ რევოლუცია და მისი მიზნები ერთია, მღვრიე ნიაღვარის მიმდინარეობა—სულ სხვაა. რევოლუციის შესაფერად გამოყენება და დამთავრება—ერთია, ბრძოთა უმეცრების და მღვრიე ნიაღვარის ვაჭეტიშება—ეგ კი სხვა რამება.

ბოლშევიკური მოძრაობა ამ მღვრიე ნიაღვრის გაფეტიშებაა, მისი გაღმერთებაა, სოციალურად უნიადაგო ბრძოს ფსიხოლოგიის გაბატონებაა. ეს ნიაღვარი, რასაკვირველია, ბევრს რასმე მოძველებულს დაანგრევს და მიყრუებულ, მიძინებულ კუთხეებში მეტად ჩამორჩენილ ხალხთ დროებით ძილს დაუფრთხობს. ამას აქვს თავისებური დადებითი მნიშვნელობა, მაგრამ ამ დადებით მნიშვნელობას ბევრად სჭარბობს ის დიდი ზიანი, რომელიც ბოლშევიზმა მოუტანა რესეთის დიდ რევოლუციას. რესეთის დემოკრატიამ ბოლშევიზმის მეოხებით შესაფერად ვერ ისარგებლა დიდი რევოლუციით.

ამაშია უდიდესი დანაშაული ბოლშევიზმისა.

მღვრიე ნიაღვარს, ბრძოს ბრმა მისწრაფებას ჩვენ ფეტიშად არ გავხდით. ჩვენ ვეყრდნობით იმ პრინციპებს, რომელთაც ნიაღაგათ აქვთ სოციალურ კანონთა შეგნება, ევოლუციის ხაზის გათვალისწინება. ჩვენ შეგვიძლია პირად საქმეებში ან გამოკვლევებში ექსპერიმენტებს შევმართოთ. ეს შესაძლებელია და საჭიროც, მაგრამ, როდესაც ჩვენ ქვეყნის ხელმძღვანელებათ გამოვდივართ, მაშინ ჩვენ ვალდებული ვართ ვიხელმძღვანელოთ იმ პრინციპებით; იმ თეორიებით, იმ დებულებებით, რომელთაც დადებითი ხასიათი აქვთ და რომელნიც ეყრდნობიან კაცობრიობის, სახელმწიფოს და ერის ევოლუციის მეცნიერულ გამოკვლევებზე.

ამიტომ ბოლშევიკური აღვირ-ახსნილობა ქვეყნის საქმის ხელმძღვანელობაში ჩვენთვის არა მისაბაძავი. ჩვენ გვინდა სახელმწიფოს კომუნალურად მოწყობა, მაგრამ სახელმწიფოს ახალ ნიაღაგზე აღმშენებლობას ჩვენ ვაწირმოებთ რეალურ პირობების მიხედვით და სოციალურ-ეკონომიურ პრინციპების და მეცნიერულ სოციალიზმის თანახმად.

ასეთია ჩვენი შეხედულება ერობის სახელმწიფოდ ან სახელმწიფოს ერობათ გარდაქმნაზე, და ამნაირად აგებული სახელმწიფო ჩვენ მიგვაჩნია საუკეთესო იარაღათ, რომლის საშუალებით ჩვენ შევძლებთ სოციალიზმის განხორციელებას.

VI.

გარდამავალი სანის ორგანიზაცია.

სანამ დადგებოდეს ახალი არჩევნების და სახელმწიფოს ახალ ნია-
დაგზე აშენების ხანა, მანამდის საჭიროა ერობათა ცენტრების (მაზრების
და ქალაქების) მუშაობის შეთანხმება და ამ ცენტრების მინისტრთა კაბი-
ნეტიან დაკავშირება. დღეს ქალაქთა კავშირი უფრო მდიდარია და უკე-
თაც მოწყობილი ვინემ ერობათა (მაზრათა) კავშირი, მაგრამ ასლო მომა-
ვალში სახელმწიფო გადასცემს მაზრებს იმ სიმდიდრეს, რომელიც მაზრებ-
ში მოიპოვება. სამაზრო ერობა და სამაზრო ერობათა ცენტრი იქნება ამ
სიმდიდრეთა მომვლელ-მომწყობი; სამაზრო ერობათა საშუალებით კერძო
ინიციატივის და კერძო კაპიტალის დახმარებით სახელმწიფომ უნდა მო-
აწყოს ტყეების, მაღნეულობის და ბევრი სხვა საქმეების ექსპლოატაცია.
მაშინ სამაზრო ერობები და მათი კავშირი ქალაქთა კავშირზე უფრო
რაული ორგანიზაცია გახდება. თუ ამას დაუმატებთ სოფლის მეურნეობის
საქმეს, იმ დიდ საქნეს, რომელსაც მას დააკისრებს აგრარული რეფორმის
წესიერად ცხოვრებაში გატარება და მრავალი სხვა ეკონომიური კითხვების
განხორციელება, სამაზრო ერობათა სიმდიდრე და საქმეები ძალიან დიდი
და რთული იქნება. აյ ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ზოგიერთი ქალაქად
მონათლული სოფლები თუ ისევ თავის წინანდელს მდგომარეობას არ და-
უბრუნდებიან, ყოველშემთხვევაში სამაზრო ერობას მაინც შეუერთდებიან,
როგორც მისი ნაწილები—თემები. ეს ასე უნდა მოხდეს, და მაშინ, როცა
ეს მოხდება, ქალაქთა კავშირის მუშაობა თავის ნორმალურ ქალაპოტში
ჩადგება, და სამაზრო ერობების ასპარეზი შესაფერად გაფართოვდება.
ქალაქთა და ერობათა კავშირები, რასაკვირველია, იხელმძღვანელებენ სა-
ხელმწიფოებრივი თვალსაზრისით, და ამ ორი ცენტრის შეკავშირების
კითხვის გარკვევის დროს გადამჭრელი მნიშვნელობა არ ექნება იმას, თუ
დღეს რომელი მათგანი უფრო მდიდარია ან უკეთ მოწყობილი.

ამ ცენტრებს დღესაც აქვთ მრავალი საერთო საქმეები. ბევრი ის,
რაც და რისიც მოწყობა სჭირია მაზრას—სჭირია ქალაქსაც. ტანსაცმელი,
ფეხსაცმელი, რვეული, რკინა, შაქარი, ავტომობილი, მაშინები, ხე-ტყე და
სხვა-და-სხვა—ყველა ეს სჭირია ქალაქსაც და სოფლსაც. ორივესათვის
აუცილებელი საჭიროა მუნიციპალური კრედიტი და რასაკვირველია, ორი-
ვემ ერთად უნდა მოაწყოს ბანკი. საერთო ინტერესი მოითხოვს, რომ სო-
ფელი და ქალაქი, როგორც მყიდველი, შინაურ და გარეშე ბაზარზე შე-
ერთებულათ გამოდიოდენ და საჭირო საქონლის ყიდვას აწარმოებდენ სა-
ერთო აპარატის საშუალებით. ამნაირ საერთო აპარატს დიდი გავლენა
ექნება საქონლის ფასებზე—ის უთუოდ დასწევს ფასებს და სპეციალიანტე-

ბის თარეშსაც ფრთებს შეუკვეცავს. მას შეუძლია დიდ მრეწველებთან და ბანკებთან პირდაპირ იქონიოს საქმე და უფრო იაფად იპოვოს ფულიც და საქონელიც. მას შეუძლია სხვებთან შედარებით უფრო იაფ ფასებში მიაწვდინოს საქონელი, როგორც სახელმწიფო, ქალაქ — ერობათა ორგანიზაციებს, ისე კოოპერატივებს და კერძო ვაჭრებს; ამნაირად გაერთიანებული მყიდველი აპარატი ხალხს გაუადვილებს ცხოვრებას, რასაც, ცხადია, დიდი ეკონომიური და კულტურული დადებითი შედევები მოჰყვება.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ ქალაქს და ერობას მრავალი საერთო მოთხოვნილება აქვთ და მომავალში მეტიც ექნებათ, და ამიტომ მათვის საჭიროა, როგორც საერთო მყიდველი აპარატი ისე საერთო წარმოება, საერთო მრეწველობა, რომ ქალაქმა და ერობამ რამდენადაც შეიძლება თავის ნაწარმოებით უფრო ფართოდ დააკმაყოფილონ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებები.

საერთო ძლიერი მყიდველი აპარატი, საერთო მრეწველობა, საერთო ხელმძღვანელობა სპეციალისტების საშუალებით სოფელ-ქალაქში ტეხნიკურ და ყველა რთულ კითხვების გამორკვევაში, საერთო მძლავრი ბანკი, რომელმაც საზოგადოებრივი ხასიათის ვაჭრობა-მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და საერთოდ კერძო მრეწველობაც თანდათან უნდა გაანთავისუფლოს კერძო კაპიტალის ბატონობისაგან და დაუქვემდებაროს ქალაქერობის ფინანსიურ და ეკონომიურ ზე-გავლენას,—აი ის დიდი საბუთები, რომელიც გვიმტკიცებენ, რომ ქალაქ-ერობა ესლავე უნდა შეკავშირდენ და დემოკრატიის საკეთილდღეოთ და თავის მოვალეობის აღსასრულებლათ ბრძოლის ასპარეზზე უნდა ხელჩაკიდული გამოვიდენ.

თანამედროვე პირობები დემოკრატიულ რესპუბლიკაში, როდესაც სოფლის ცხოვრების პირობები ასე სწრაფად უახლოვდებიან ქალაქისას, როდესაც დაბები უერთდებიან ქალაქებს, როდესაც სოფელსაც სჭირია ელექტრონით განათება; სკოლები, ჯანმრთელობის საქმის მოწყობა, ქალაქებთან რეინისგზის, ავტომობილის, ტრამვაის ტელეფონის და ტელეგრაფის საშუალებით დაახლოვება, როდესაც ქალაქის და სოფლის ცხოვრება მატერიალურად და კულტურულად მჭიდროთ არიან ერთიმეორესთან გადაბმული და ორგანიულად შეკავშირებული, აშკარაა, ქალაქის და მაზრის ცენტრების ერთიმეორესთან შეუთანხმებლათ არსებობა მიუღებელია და სახელმწიფო ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ამიტომ საერთო საქმეების მოსაგვარებლათ ამ თავითვე ქალაქ-მაზრების ცენტრთა შეკავშირებასაც ჩვენ გვიკარნახებენ სახელმწიფო ინტერესები და დემოკრატიზმი.

ეხლანდელს მთავრობასაც გაუადვილებს ასეთი შეთანხმება-შეკავშირება სახელმწიფოებრივ მუშაობას. დღეს არის ერთგვარი მეტოქეობა სამორგანოს შორის, სამ ცენტრს შორის, როგორც არიან: მთავრობა, ქალაქთა კავშირი და ერობათა კავშირი. ზოგიერთი საქმეების წარმოებაში კავ-

შირები ლამის გამოედავონ ერთი-მეორეს, და თითოული მათგანი—მთავრობას. მთავრობა და ერი იძულებული და ვალდებული არიან ყველა ამ მოუწყობლობა—შეუთანხმებლობას ანგარიში გაუწიონ და ყოველი ღონე იღონონ, რომ მათ შორის საჭირო შეთანხმება რც შეიძლება მალე მოხდეს. ამას მოითხოვს მრავალი ფრიად საჭირო სასწრაფო საქმეების განხორციელება. ისეთს რთულს და საჭირო საქმეებს, როგორიც არის საერთო ბანკის მოწყობა, რთული სამრეწველო საქმეების სააქციონერო საზოგადოების სახით წარმოება, სურსათის საკითხი, საქონლის შეძენა, მედიკო-სანიტარია, განათლების საქმე და ბევრი სხვა, დაბმარება უნდა გაუწიოს ქალაქ-ერობათა დროებითმა საერთო ბიურომ, რომელიც ორგანიზაციულად შესაფერად უნდა იყოს მოწყობილი. მას უნდა ჰქონდეს ისეთი განყოფილებები, რომლებსაც დროებით, სანამ ახალი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია არ ჩამოყალიბდება, დაეკისრება ქალაქ-ერობათა ზოგიერთ საერთო საქმეზე ზრუნვა. ასეთი საქმეებია ქალაქ-ერობათა საფინანსო მეურნეობა, აგრიკულტურა, მრეწველობის ზოგიერთი დარგი, სურსათის საკითხი, გზების მოწყობა და საერთო კულტურული საქმეები: განათლება, მედიკო-სანიტარია და სხვა. არსებული ქალაქთა და ერობათა კაეშირები კი ქალაქ-ერობათა დროებით ბიუროში იქნებიან, როგორც ქალაქთა და ერობათა სპეციალური განყოფილებები.

დაახლოვებით ასე უნდა მოეწყოს გარდამავალ ხანში ქალაქ-ერობათა ცენტრი. ამნაირათ ქალაქ-ერობათა საერთო ორგანიზაციის მოწყობა სარჯეს, ბევრათ შეამცირებს და საერთო მუშაობასაც გაააღვილებს.

როდესაც ქალაქების და მაზრების ცენტრები შეთანხმდებიან და შეთანხმებულად დაიწყებენ მუშაობას, მაშინ მთავრობის და ერის მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნება და რესპუბლიკის საქმეების მიმდინარეობაც უფრო მჭყობრი.

* მაგრამ სახელმწიფოებრივი მუშაობის მწყობრი და ნაყოფიერი მიმდინარეობისთვის საჭიროა ქალაქ-ერობათა დროებითს ბიუროს შესაფერ შემთხვევებში ჰქონდეს პირდაპირი დამოკიდებულება მინისტრთა კაბინეტთან და ამისთვის საჭიროა. მთავრობის წინაშე მოხსენების გაკეთების უფლება მიეცეს ქალაქ-ერობათა წარმომადგენელს, და ამიტომ ქალაქ-ერობათა დროებითი ბიუროს თავმჯდომარეს და ქალაქის და ერობის განყოფილებათა შეთაურებს უნდა მიენიჭოს უფლება დაესწრონ მინისტრთა კაბინეტის თათბირს, როცა იქ ირჩევა ქალაქ-ერობათა საკითხი. ამნაირად უფრო სავსებით იქნება დაცული ქალაქ-ერობათა და მაშასმღამე სახელმწიფო ინტერესებიც.

მსოფლიო ომმა და მისგან წარმოშობილმა რევოლუციებმა შესცვალეს სოციალურ-პოლიტიკური და ფსიხიოლოგიური ნიდაგი, რომელზედაც ეყრდნობოდა თანამედროვე სახელმწიფო, ომმა და რევოლუციამ აღმოფხვრეს. ფეოდალიზმის ნაშთები ევროპის სახელმწიფოებში, შრომა. და კაპი-

ტალი ნათლად, აშკარად დაუპირდაპირდენ ერთი-მეორეს. დადგა დემოკ-რატის სანა, ახალი ერა. შეიცვალა ის პრინციპები, რომელებზედაც იყო აშენებული ძველი სახელმწიფო. როგორც აბსოლუტური ისე რესპუბლიკანური. შეიცვალა მისი შინაარსი, ძალთა განწყობილება, ეკონომიკური პი-რობები, მაგრამ ჯერ ჩვენ ვერ შევიმუშავეთ ახალი პრინციპები, რომელ-ნიც გამომდინარეობენ ცხოვრების მიერ შექმნილ ახალ პირობებისაგან ამიტომ ჩვენი ახალი სახელმწიფო თავის ფორმით, სტრუკტურით ძველია მისი ორგანიზაცია არის შეთანხმებული ძველ დროის პირობებთან, და ესლა ჩვენ ეს ორგანიზაცია მხოლოდ შევაკეთეთ მისი ფორმა, სისტემა კი ძველია.

დემოკრატიამ კი უნდა გამოიმუშაოს ახალი პრინციპები სახელმწიფოს აღმშენებლობისა, ახალი მონისტური ფორმა სახელმწიფოს ორგანიზა-ციისა, რომელსაც საუკელად ექნება განახლებული თემი, როგორც ეკონო-მიკური და კულტურული პრიმი, და აქ კიდევ ერთხელ გამართლდება ისტი-რიული მსვლელობის დიალექტიკა. შეკვეშირება თემთა, მათი წარმომად-გენლობა, მათი საერთო ცენტრი და გამგეობა, აი გზა სახელმწიფოს აღმ-შენებლობისა, რომელიც დემოკრატიას მისცემს საშუალებას დაარსოს ნამ-დვილი დემოკრატიული მონისტური სახელმწიფო, რომელშიაც გაერთია-ნებულ ქალაქერობის ცენტრი სახელმწიფოებრივი, სახელმწიფოს გამგე ცენტრიც იქნება.

სახელმწიფოს ასეთნაირად გარდაქმნას მოითხოვს დემოკრატიის ინ-სტერესები, ამას მოითხოვს ერის სულიერ და მატერიალურ ძალთა რაციო-ნალურათ გამოყენება.

დ. თოფურიძე.

შინამრეწველობის ენერგიის საკითხი ჩვენში.

ქართველი ერი თითქმის ას ოცი წლის განმავლობაში საკუთარ ინი ციატივის, თავისუფალ განვითარების და ეროვნულ საქმიანობის უფლებას მოკლებული იყო. ამ უკანასკნელ დრომდე მას აუარებელი ხელის შემშლე-ლი პირობები ეღობებოდა წან; ის უმთავრესად გარეშე ძალების, გარეშე „მხრუნველობის“ შემყურე იყო და მისი „განვითარება“ სწორედ ამ უცხო-ელემენტების კარიბით, სურვილით და გავლენით ხდებოდა...

მხოლოდ ამ ორი წლის წინადან ქართველმა ერმა საშინელ ომის და რევოლუციის ქარტეხილში თავისუფლება გამოსჭრდა, და დღეს ჩვენ უკვე გვაქვს დამოუკიდებელი მოქმედების უფლება; დღეს უკვე ჩვენზეა დამკი-დებული ჩვენი ავი და კარგი; დღეს უკვე ვერავის გადავაბრალებთ ჩვენი ცხოვრების სივაგლახეს და სიღუხვირეს...

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ განსაკუთრებულ პირობებში, რომელებშიაც ქართველ ერს სახელმწიფოებრივი ორგანიზმის შექმნა მოუნდა დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, მან დიდძალი სამუშაოს გაკეთება შესძლო. ჩვენი ხალხი ბეჯითად და სახელოვნად იკაფავს გზას დამოუკიდებელ არსებობისათვის და თავისუფალ განვითარებისათვის. მაგრამ შინაურ საამშენებლო მუშაობის, საერთაშორისო ვითარების, დაუსრულებელ „ფრონტების“ და სხვა მიზეზების გამო თითქმის მივიწყებული, ყოველ შემთხვევაში სათანადო ყურადღებას მოკლებული შეიქმნა ეკონომიური საკითხები, რომელიც არსებითად სახელმწიფოს ცხოვრების და მისი პოლიტიკის წყაროს და საფუძველს წარმოადგენს.

დღეს ყველასათვის უკვე ნათელია, რომ ქვეყნის წარმატებისათვის და უზრუნველყოფისათვის საჭიროა ეკონომიური ცხოვრების სიმტკიცე. ის ქვეყანა, რომელიც არაფერსა ჰქმნის, სხვებს არაფერს აწვდის, პირიქით სხვებს შეუურებს და მხოლოდ უცხო ქვეყნიდან საქონლის შემოტანაზე ფიქრობს, ვერასოდეს ვერ დადგება მჭიდრო ეკონომიურ საფუძველზე. რამდენად მეტი ლირებულება იქმნება ამა თუ იმ ქვეყანაში, იმდენად ის უზრუნველყოფილია, ლონიერია ეკონომიურად და, მაშასადამე, პოლიტიკურადაც.

საერთაშორისო ომმა ძირიან-ფესვიანად შეარყია ეკონომიური საფუძველი, დასცა და წელში გასტეხა მრეწველობა, არევ-დარევა შეიტანა აღებ-მიცემობაში და ფინანსიურ ცხოვრებაში და ხალხთა მატერიალური გაღატაკება გამოიწვია. თანამედროვე მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ საწარმოო ძალთა განვითარებით, ინტენსიური შრომით და ბეჯითი საქმიანობით, წარმოებათა შექმნა-განვითარებით და ლირებულებათა წარმოშობით. ეს არის უმთავრესი, ეს არის სახელმწიფოს სიძლიერის გამომხატველი და არა ამა თუ იმ ქვეყანაში შემთხვევით დაგროვილი ოქრო-ვერცხლის რაოდენობა; ყოველივე ეს სულ მალე იმ სახელმწიფოსაკენ გასცურავს, სადაც მტკიცეა ეკონომიური ცხოვრება, გამეფებულია შრომა და განვითარებული მრეწველობა. ადამ სმიტის სიტყვით — „ქვეყნიერების სიმდიდრე სულ შრომით არის მოგროვილი და არა ოქრო-ვერცხლით, თვით ოქრო-ვერცხლიც შრომით არის მოპოვებული“.

საერთაშორისო ომმა ჩვენს წინაშე მრავალი საკითხი წამოაყენა, ბევრი საჭიროებანი გამოარკვია, და საჭიროა ცხოვრების მიერ გადაჭრით დასმულ საკითხებს სათანადო პასუხი გავსცეთ. ამ ხუთი-ექვსი წლის ნგრევის შედეგ ცხოვრება ნელ-ნელა თავის კალაპოტში ჩადგება; დაიწყება გაცხოველებული მუშაობა ნანგრევების აღსადგენად, „დამშეულთათვის“ საჭირო საქონლის მისაწვდენად, — და საჭიროა მომზადებული შევხვდეთ განახლებულ ერთა მომავალ საქმიანობას; დიდი სიტხიზლე გვმართებს, რომ ჩვენც ჩავებათ ამ საერთო საქმიანობაში, სათანადო აღგილი დავიჭიროთ და კულტურულ კაცობრიობის დაწინაურების და მისი ეკონომიურ წარმატების

საქმეში თავისი წვლილი შევიტანოთ. ისეთ დროში ვცხოვრობთ, რომ ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის განმტკიცება, ჩვენი მომავალი, ჩვენი კეთილდღეობა ჩვენს საქმიანობაზე და უნარზეა დამოუკიდებული; დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ სიყოჩალეს გამოვიჩენთ, რამდენათ ძლიერი და მჭიდრო „პოზიციების“ დაჭრას მოვახდებოთ სწორედ ეხლაც. ვინაიდან შემდეგში, მშვიდობიან ცხოვრების პირობებში, გაცილებით უფრო ძნელი იქნება სხვებთა მიერ დაჭრილ „პოზიციებზე“ გამაგრება.

საქართველომ უნდა შეიმუშაოს საკუთარი ჯანსაღი ეკონომიური პოლიტიკა, შექმნას რიგიანი ეკონომიური და ფინანსიური კანონმდებლობა, წარმოშევის, და განავითაროს სამეურნეო ორგანიზმი, რომელიც მხოლოდ მაშინ იქნება ცხოველი და ძლიერი, როდესაც დამყარდება ერთგვარი შეტოლება წარმოებისა და მოხმარების, ექსპორტის და იმპორტის შორის. ჩვენ უნდა შევიმუშაოთ ისეთი ეკონომიური გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის სათანადო მოწყობას და მის წესიერ კალაპოტში ჩაყენებას. ამ გეგმით შესაძლებელი უნდა გახდეს იმ აუარებელი სიმღიდორის მიზანშეწონილად გამოყენება, რომლითაც ასე უხვად დაჯილდოვებულია ჩვენი ქვეყანა. ჩვენი ეკონომიური ინტერესები მოითხოვს შევქმნათ ისეთი პირობები, რათა არ დაგვჭირდეს გარეთ იმის ძებნა, რაც თვით უხვად მოგვეპოვება და რისიც გადამუშავება ჩვენთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს:

არ უნდა დავივიწყოთ, რომ გადასაკეთებელი მასალის კარგად, სარგებლიანად და ეკონომიურად მოხმარება არის ერთი უმთავრესი პრინციპი მრეწველობისა. ნედლი მასალის გადამუშავება აღგილობრივ უნდა მოხდეს, ვინაიდან, რამდენად ძვირფას საქონელს გამოუშვებს ჩვენი ქვეყანა მსოფლიო ბაზარზე, იმდენად ხალხი მეტ სარგებლობას ნახავს, იმდენად უფრო უზრუნველყოფილი იქნება; ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ ნედლი მასალის საზღვარ-გარედ გაზიდვის და იქნებან მისგან დამზადებულ საქონლის ერთი-ათად და ასად აწეულ ფასებით უკანვე დაბრუნებას, არ შეუძლია ხელი შეუწყოს ხალხის კეთილდღეობას. ამავე მიზნით საჭიროა ბუნებრივი სიმღიდორის გამოყენება და მრეწველობის წარმოშობა მოხდეს არა გარეშე ეროვნულ ძალებისა და ეროვნულ კაპიტალისა, ყოველ შემთხვევაში ქართველი ერის ცოცხალი ძალების მხურვალე მონაწილეობით.

დაუყონებლივ საჭიროა საწარმოო ძალების ამოძრავება და აყვავება; ყოველი ცოცხალი ძალა გამოყენებული უნდა იქნეს, არ უნდა არსებობდეს უსარგებლო კაპიტალი, მთელი შემოქმედებითი ძალა საქონლის დაგროვების ნიადაგზე უნდა მუშაობდეს, ეროვნულ სიმღიდორეს უნდა ჰქმნიდეს...

სახელმწიფოს თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, თავის მიზნების განხორციელება მხოლოდ მოქალაქეთა ეკონომიური მოღონიერებით შეუძლია; სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ამიტომ არის საჭირო ზრუნვა ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებისათვის. რამდენად ყურადღსალებია ეს

გარამოება იქედან სჩანს, რომ გერმანია და შეერთებული შტატები, რომელნიც ქმნიდენ მრეწველობის ისეთ დარგებსაც კი, რომელთა აღვილად განვითარების საშუალებას არ იძლეოდენ ამ ქვეყნების ბუნებრივი პირობები და რუსეთი, რომელიც ჰკლავდია და ახშობდა ეკონომიურ ცხოვრების განვითარებას ყოველივე შესაძლებლობას, — დაშეტრალურად საწინააღმდეგო შედეგებს იძლევიან.

ყოველივე ზემონათქვამიდან აშკარაა, თუ რა გზას უნდა დავადგეთ ეკონომიური ცხოვრების განსამტკიცებლად: ეროვნული სიმდიდრე საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ, რიგიანად მოვიხმაროთ და მის დამუშავებას ერთს ცოცხალი ძალები მოვაწინავთ; უნდა შევქმნათ სასურველი ნიადაგი წარმოებათა ასაღრმოძინებლად და განსავითარებლად და შეუფარდოთ ისინი ბაზოს მოთხოვნილებებს და პირობებს; უნდა შევიმუშაოთ გონივრული ეკონომიური გეგმა და საქართველოს ეკონომიურ საქმიანობაში მაქსიმალური მონაწილეობა მივიღოთ; საწარმოვრ ძალები უნდა განვავითაროთ და ავაყვავოთ, შრომის ნაყოფიერება ავსწიოთ და მოვაწყოთ ნედლი მასალის ადგილობრივ გადამუშავება.

მხოლოდ ეხლა დავსვათ საკითხი, რა სახით შეიძლება ნედლი მასალის გადამუშავება და რომელი გზა უნდა ავირჩიოთ ჩვენ ამ საქმეში.

ნედლი მასალა შეიძლება ან საზღვარ-გარედ იყოს გაზიდული ან აღგილობრივ გადამუშავებული. როგორც ზევით აღვნიშნეთ მისი გამოყენების პირველ გზას ჩვენ, რასაკვირველია, მხარს ვერ დაუჭერთ. რაც შეეხება ნედლი მასალის ადგილობრივ გადამუშავებას, ეს შეიძლება ან საქართველოსამრეწველო ან შინამრეწველობის საშუალებით. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველო მრეწველობა ჩვენში თითქმის არ არსებობს; ძევლი რუსეთის მთავრობა არ აქცევდა სათანადო ყურადღებას მის შექმნას და განვითარებას, აგრეთვე ხალხის გაწრთვნას და სერიოზულ და ბეჯით სამუშაოსთვის სათანადო მომზადებას. საქართველო მრეწველობა სწორედ ისე, როგორც ყოველი სერიოზული საქმე, შესაფერ ნიადაგის შემუშავებას, დახელოვნებულ და საკმაოდ მომზადებულ მოშებს და ხელმძღვანელებს მოითხოვს, ავრეთვე თანამდებობით შემუშავებულ ერთგვარ ტრადიციას.

შინამრეწველობა კი ჩვენში მრავალმხრივია და ამასთანავე საკმაოდ განვითარებული; მისი სასურველ ნიადაგზე დასაყენებლად მხოლოდ ხელის შეწყობაა საჭირო. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დარგში ხალხი შესაფერი-სად არის გაწვრთნილი და მომზადებული; მას სავსებით შეთვისებული აქვს მისი ელემენტები, გაცნობილი — მისი ხასიათი, ავი და კარგი; ამ დარგში ქართველ ერს საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული აქვს განსაკუთრებული ტრადიცია.

გარდა ამისა საქართველო მრეწველობა რთულ მოწყობილებებს საჭიროებს და დიდ თანხასაც მოითხოვს მაშინ, როდესაც შინამრეწველობისათვის უბრალო ხელსაწყოები და სულ მცირე თანხა საჭირო. ამნაირად,

შინამრეწველობის განვითარება გაცილებით უფრო აღვილ და ამ უამაღ მოსახერხებელ საქმეს წარმოადგენს, ვიდრე საქარხნო მრეწველობის წარმოშობა და მისი სათანადო პირობებში ჩაყენება.

ამით, რასაკვირველია, იმის თქმა არ მინდა თითქოს არ უნდა ვიხმაროთ არავითარი ღონისძიებანი საქარხნო მრეწველობის შესაქმნელად. პირიქით, მე ვეუქრობ, რომ ეს აუცილებლად საჭიროა, და ჩვენ კიდეც შეძლება გვაქვს, ცოტა თუ მაინც მოვინდომეთ, ზოგიერთ წარმოებას აღვილად მივცეთ საქარხნო მრეწველობის ხასიათი. მაგრამ ჩვენი ქვეყნის სამრეწველო უაგრავ დარგებიდან ორიოდეს გამოყოფა, რასაკვირელია, ამ დიდ საკითხს საცსებით ვერ გადაწყვეტს და დანარჩენ დარგების განვითარება შინამრეწველობის წესით მოვციხდება. ამას სხვა დადებითი მხარეებთან ერთად დიდი სამსახურის გაწეეა შეუძლია. სასურველ დონეზე და ფართო მასშტაბით დაყენებული შინამრეწველობა გაწვრთნის ხალხს, სერიოზულ და დაკვირებულ მუშაობას მიაჩვევს, საქმის სიყვარულს შთაუნერგავს, საორგანიზაციო ნიჭეს, პრაქტიკულ უნარს და ენერგიას, შემოქმედებითი ძალას და ინიციატივას განუვითარებს. ამნაირად, ის თანდათან ნიადაგს მოუმზადებს საქარხნო წარმოების შექმნა-განვითარებას.

კიდევ. შინამრეწველობა ნედლი მასალის რაციონალურად გადაშუშვების საშუალებას მოგვცემს მის ზოგიერთ დარგებს, როგორც ქვევით დავინახავთ, თავის ხასიათის და ბუნების მიხედვით მუდამ შეეძლებათ არსებობა და მათ ყოველთვის დამოუკიდებელი მნიშვნელობა ექნებათ.

შინამრეწველობის დანარჩენ მხარეების შესახებ ქვევით გვექნება ლაპარაკი; მხოლოდ ის კი შეგვიძლია ეხლავე გადაჭრით ვთქვათ, რომ რა მხრითაც არ უნდა მიუდგეთ საკითხს მის განვითარებას ჩვენთვის საქმიად დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ საჭიროა მას მხარი დაუჭიროთ დასათანადო ყურადღებით მოვეპყრათ.

ჩვენ შინამრეწველობაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ ჯერ არ გამოგვირკვევია, თუ რა იგულისხმება ამ სახელით. ეს კი მეტად საჭიროა, ვინაიდან ის იწვევს დიდ უთანხმოებას მკვლევართა შორის და მას სხვა-და-სხვა ქვეყნებში ერთი და იგივე მნიშვნელობით არ უმარობენ. ჩვენი ქვეყნის შინამრეწველობა სწორედ ისე, როგორც რუსეთის, შეიძლება დაახლოვებით შემდეგნაირად იქნეს განმარტებული: „შინამრეწველობა არის ისეთი წვრილი საოჯახო ორგანიზაცია გაყიდვის მიზნით საქონლის დამზადებისა, რომელიც შეადგენს სასოფლო მეურნეობის უმთავრესად დამატებითი და მეურნეთათვის დამხმარე სარეწავს“ (პროფ. ი. იაროცკი) ¹⁾.

საქარხნო მრეწველობა შინამრეწველობისაგან მით განსხვავდება, რომ პირველში წარმოებას მასიური ხასიათი აქვს და კიდევ მით, რომ ის მუშას საცსებით სწყვეტს მიწის მუშაობას და სხვა გარეშე საქმიანობას; ში-

¹⁾ Энциклопедич. Словарь, Брокгаузъ и Ефронъ, Т. 33.

ნამრეწველობა კი არსებობს და ვითარდება სოფლის მეურნეობასთან ერთად. შინამრეწველობის წვრილი წარმოების ხასიათი აქვს, მაგრამ აქ— „წვრილი წარმოება“ — არ შეიძლება ვიხმაროთ იმ მნიშვნელობით, როგორითაც ამას სასახლოსნო წარმოებისათვის ხმარობენ; ამ უკანასკნელიდან შინამრეწველობა განსხვავდება უმთავრესად პროდუქტების გასაღების ხასიათით: შინამრეწველი ამზადებს საქონელს უმეტესად უცნობ მყიდველისათვის ²⁾, ასე ვსოდეთ — ბაზრისათვის, ხშირად ასაღებს საქონელს ბითუმად შემყიდველზე მაშინ, როდესაც ხელოსანი მომხმარებელთან პირდაპირ დამოკიდებულებაშია და, მაშასადამე, განსაზღვრულ შემკვეთელისთვის მუშაობს.

შინაურ წარმოებას შინამრეწველობასთან ის საერთო აქვს, რომ ორივე შემთხვევაში მუშაობა მწარმოებელთა სახლში სწარმოებს. ამ მხრივ შინამრეწველობას საერთო აქვს აგრეთვე ეგრედწოდებულ საოჯახო წარმოებასთან, ვინაიდან ორივე შემთხვევაში საქონლის დამზადებაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ შინაურნი, ოჯახის წევრნი. განსხვავებას მათ შორის მხოლოდ ის შეადგენს, რომ საოჯახო წარმოება მიზნად ისახავს შინაურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას მაშინ, როდესაც შინამრეწველობა-საქონლის გასაღებას გარეშე მომხმარებელზე.

შინამრეწველობა ნოქავს განსაკუთრებით იმ ზედმეტ დროს, რომელიც ასე თუ ისე სოფლის ოჯახის წევრებისთვის მაინც დაკარგული იქნებოდა. ჩვენ ვიცით, რომ ხვნა-თესვისაგან და საერთოდ სამეურნეო მუშაობისაგან ქართველი მეურნე საშუალოდ ხუთი თვე თითქმის სრულიად თავისუფალია; დანარჩენ დროს განმავლობაშიც მას მუშაობა თანასწორი ინტენსივობით არ უხდება და ხშირად საკმაოდ ბევრი თავისოფალი დრო რჩება. ეს ერთი.

მეორე ის გახლავთ, რომ ქართველ მეურნეს საკმარისი ადგილი არა აქვს და ამნაირად დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს, მას არ შეუძლია მთელი დრო სასოფლო მეურნეობას მოახმაროს. ვფიქრობ, ინტერესს მოკლე-ბული არ იქნება შემდეგი ცნობები ³⁾:

	მცხოვრებთა საერთო რიც- ხვი.	სოფლის მცხოვ- რებთა რიცხვი (ქალაქების გა- მოკლებით).	საერთო სივ- რცე დესეტი- ნებში.	დათესილ ადგი- ლების სივრცე დესეტინებში.
თბილისის გუბ.	1.473.308	1.045.638	3.740.004	409.189
ქუთაისის გუბ.	1.034.468	946.388	1.930.742	249.244
სოხუმის ოლქ.	209.671	147.697	603.310	112.800
ზაქათალის გუბ.	92.608	88.103	364.817	35.743
ბათუმის გუბ.	122.811	95.794	638.480	12.410

²⁾ შინამრეწველი ხანდისხან საქონელს თავის ოჯახის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაც ჰქონის, მაგრამ ამით შინამრეწველობის საერთო ხასიათი არ იცვლება.

³⁾ ამ ცხრილის შემუშავების დროს გსარგებლობდი „კავ. დამც.“. 1917 წ. ცნობებით.

აქედან შეგვიძლია შემდეგი საყურადღებო ცხრილი შევიმუშაოთ:

	დათესილი აღგი- ლები შედარებით რებზე დათესილი მთელ სივრცესთ. აღგილი დესეტი- პროცენტი (%) .	თითოულ მცხოვ- რებზებზე და- თესილი აღგილი დესეტინებზე.	
თბილისის გუბ.	10,94	0,28	0,39
ქუთაისის „	13,43	0,24	0,26
სოხუმის ოლქში	18,69	0,53	0,76
ზაქათალის „	9,79	0,38	0,40
ბათუმის „	1,94 ⁴⁾	0,10 ⁴⁾	0,13 ⁴⁾

ამას შეგვიძლია დავუროთ უკანასკნელი ცნობებიც 1919 წლის შე-
სახებ, რომელიც ამ ეამად მიწათ-მოქმედების სამინისტროს სტატისტიკურ
განყოფილებაში მოიპოვება ⁵⁾:

	სახნავ-სათესი ადგილები დესეტინებში.	სათიბი აღგი- ლები დესეტი- ნებში.	ბადები დესეტი- ნებში.	სულ ვარგისი აღგილი დესე- ტინებში.
თბილისის გუბ.	381.434,62	69.469,26	19.578,46	744.578,95
ქუთაისის „ .	201.800,84	6.584,83	18.925,85	417.317,12
სოხუმის ოლქ. .	67.971,20	1.472,04	6.052,78	109.261,33
საერთოდ რეს- პუბლიკაში .	651.206,66	77.526,12	44.557,04	1.271.157,40

ამ ციფრების დაწვრილებით განხილვას რომ არ შეუდგეთ, ის მაინც აშკარაა, რომ ქართველ კიცს საკმაო აგღილ-მამული არ აქვს და როგორც აქედან, ისე სასოფლო მეურნეობის მუშაობის ხასიათიდან ის გამომდინარეობს, რომ მას ბევრი თავისუფალი დრო რჩება, უაცილებლად საჭიროა ეს დრო მიზანშეწონილად იყოს გამოყენებული როგორც კერძოთ მისი, ისე სახელმწიფოს ინტერესებისათვის. დამტკიცებულია, რომ, როდესაც

⁴⁾ დათესილი აღგილების ასეთი მცირე რაოდენობა ბათუმის ოლქში ოშის გავლენით მიიჩნება. თუ ავილეთ ოშის წინა წლების ანგარიში, მაშინ უფრო ნამდვილ სურათს მი-ივიღებთ. მაგალ., 1912 წ. დათესილი იყო 28.502 დეს. („კავკ. კატ.“, 1914 წ.) და თითოულ მცხოვრებზე მოდიოდა—0,30 დეს.

⁵⁾ სტატისტიკურ განყოფილებაში ბათუმის და ზაქათალის ოლქების შესახებ 1919 წლის ცნობები არ მოიპოვება, ვინაიდან ისინი რამდენიმე ხანია საქართველოს სხეულს ხელოვნურად მოგლეჯილი არიან.

აღამიანს არაფერი ან ცოტა საქმე აქვს, ცუდ ყოფა-ცხოვრებას ეწევა, ეჩვევა სიზარმაცეს, ლოთობას და ხშირად ავაზაკობასაც. ამ პირობებში შინამრეწველობისაკენ მოქალაქეთა წახალისება, მისი განვითარებისათვის ხელის შეწყობა,—სახელმწიფოს პირდაპირ მოვალეობას შეადგენს.

ამ ციფრებიდან კიდევ ის გამომდინარეობს, რომ საქართველოს საკუთარი ჭირნახულით თავის გამოკვება არ შეუძლია არა თუ ისეთ მწირ წლებში, როგორიც იყო 1919 წ., არამედ კარგ მოსავლიან წლებშიც. მართლაც, 1919 წელში თბილისის გუბერნიაში მოვიდა სულ მხოლოდ 7.154.863 ფუთი მარცვლეული, ქუთაისის გუბერნიაში—5.620.185 ფუთი; აფხაზეთში, სადაც შედარებით გვარიანი მოსავალი იყო—2.451.728 ფუთი⁶⁾. აშკარაა, როდესაც თითოული დესეტინა ხშირად მხოლოდ 15—20 ფუთ მოსავალს იძლეოდა, დეფიციტი დიდი უნდა ყოფილიყო, და ამ დეფიციტის სიმწვავეს წელს ყველანი კარგად ვგრძნობთ.

მაგრამ კარგ მოსავლიანი წელიც რომ ავილოთ და დაახლოვებით გამოვიანგარიშოთ მოსავლის და გასავლის ჯამი, მაინც შემდეგ სურათს მივიღებთ: თბილისის და ქუთაისის გუბერნიაში და სოხუმის ოლქში დათესილ ადგილების რაოდენობა უდრის დაახლოვებით 770.000 დესეტინას; თითოულ დესეტინაზე საშუალოდ რომ 50 ფუთი მოსავალი ვიანგარიშოთ, მივიღებთ $50 \times 770.000 =$ მთელი მოსავლის ჯამს=38.500.000 ფუთს. ამ ტერიტორიაზე სულ 2.800.000 სული მცხოვრებია; ვინაიდან ჩვენი ხალხი პურს ბევრსა სჭამს, სულ მცირე სულზე უნდა ვიანგარიშოთ დღეში 2 გირვ. ანუ წელიწადში არა ნაკლები 18 ფუთისა. მაშინ ხალხის გამოსაკვებად საჭირო იქნება 18 ფ. $\times 2.800.000 =$ 50.400.000 ფუთი მარცვლეულობა. სათესლეთ ამ რაიონებისთვის საჭიროა სულ 3.500.000 ფუთი. ცხენების გამოსაკვებად საჭიროა თითოულზე 9 ფუთი—9 ფ. $\times 93.000 =$ 837.000 ფ., ღორებისათვის⁷⁾,—სულ მცირე 3 ფ.—3 ფ. $\times 358.000 =$ 1.074.000 ფუთი; ამას ქათმები და სხვა ფრინველები რომ მიუმატოთ, მარცვლეულობის ხარჯი ცხოველებზე და ფრინველებზე გამოვა სულ მცირე 3.000.000 ფუთი. მთელი ხარჯი, მაშასადამე იქნება: 50.400.000 ფ.+3.500.000 ფ.+3.000.000 = 56.900.000 ფ. ამნაირად, კარგ მოსავლიან წელშიც კი მარტო თბილისის და ქუთაის. გუბ. და სოხუმ. ოლქში დაგვაკლდება სულ მცირე—56.900.000 ფუთი—38.500.000 ფ.=18.400.000 ფ. მარცვლეულობა. ამას თუ ბათუმის და ზაქათალის ოლქებიც მიუმატეთ, დეფიციტი კიდევ უფრო გაიზრდდება.

ზემოაღნიშნული მოსაზრებანი სხვა მხრივადაც მტკიცდება. ამიერ-კავკასიის რკინისგზის ანგარიშიდან⁸⁾ სჩანს, რომ მის საზღვრებში, განსაკუთ-

⁶⁾ 1919 წლის მოსავლის „შესახებ ცნობები ავილე უურნალიდან „ერობა და ქალაქი“ №№ 1—2, 3, „Урожай 1919 года“, М. Пядовъ.

⁷⁾ ცხენების და ღორების რიცხვი აღებული მაქს მიწ.-მოქმ. სამინისტროს სტატისტიკურ განყოფილებიდან.

⁸⁾ Отчетъ по эксплоат. Закавк. каз. жевлѣв. дор. за 1913 г.

რეგის საქართველოს სხვა-და-სხვა პუნქტებში, გადაზიდული - იყო 1911 წელს — 23.537.852 ფუთი, 1912 წ. — 20.024.819 ფ., 1913 წ. 22.520.994 ფ. და სხვ.

ამნაირად, სავსებით დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ საქართველოს დღევანდელ პირობებში უცხოეთიდან თავის საზღვრებში პურის შემოტანა უხდება. თუ კი ეს ასეა; შეგვიძლია აქედან ისეთი დასკვნა გავაკეთოთ, რომ ქართველ ხალხს ესაჭიროება შემოსავლის ისეთი წყარო, რომელიც როგორც პურის შეძენის, ისე სხვა ათასგარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებას მისცემს. საქართვის-სამრეწველო დარგების განვითარებლობის გამო, ასეთ წყაროდ მხოლოდ შინამრეწველობა უნდა ჩაითვალოს.

ყოველივე ზემონათქვამიდან აშკარაა, რომ მეტად საჭიროა ჩვენში შინამრეწველობის განვითარება. მაგრამ საკმარისი არ არის საჭიროების გამორკვევა; არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოთ იმას, თუ ადგილობრივი პირობები რამდენად ხელს უწყობენ მის განვითარებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ჩვენ განსაკუთრებულ და იშვიათ პირობებში ვიმყოფებით.

რაც შეეხება ნედლ მასალას, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყნის ცოცხალ ძალებს სავსებით ეყოფა ადგილობრივი ნედლი მასალა დასამუშავებლათ და არავითარ დაბრკოლებას ამ მხრივ ადგილი არ ექნება. ეს იმდენად ნათელია, რომ ჩემის ფიქრით დიდხანს ამაზე შეჩერება საჭიროც არ არის. საკმარისია მხოლოდ ალვნიშნოთ, რომ საქართველოს შინამრეწველობის მრავალგვარ დარგთა განვითარების შესაძლებლობა აქვს, ვინაიდან მას მოეპოება ბევრნაირი ნედლი მასალა, როგორც, მაგალითად, აბრეშუმი, მატყლი, ბამბა, მაღნეული, ხე-ტყე, თიხა, ხილი და სხვა-და-სხვა.

შინამრეწველობის განვითარებას ჩვენში ხელს უწყობს მიმოსვლის საშუალებათა მდგომარეობაც. სამწუხაროდ საქართველო ჯერ-ჯერობით მოკლებულია რიგიან გზებს და მათი საჭირო რაოდენობას. ჩვენ ვიციც ბევრი ისეთი ბუნებრივი სიმდიდრით უხვად დაჯილდოვებული ადგილები, სადაც ურმებითაც კი შეუძლებელია მისვლა-მოსკვლა, რასაკირველია, ასეთი უგზობის გამო ნედლი მასალის გამოზიდვა საკმაოდ ძნელ საქმეს წარმოადგენს და ეს კი ხელს უწყობს მათი ადგილობრივ გადამუშავებას.

შინამრეწველობის განვითარებას საქართველოს ბევრ რაიონებში ხელს უწყობს აგრეთვე ხანგრძლივი და სუსხიანი ზამთრები, რომელიც ხშირად მეზობელ სოფელთა შორისაც კი ურთიერთობას სწყვეტს, ხალხს სახლში ამწყვდება, აუარებელ თავისუფალ დროს აძლევს და მასთან ერთად ოჯახს გარეშე მუშაობის საშუალებას უსპობს.

შინამრეწველობის განვითარების ხელის შემწყობია ის გარემოებაც რომ ქალს ჩვენში ოჯახის გარეშე სამუშაოს თითქმის არასოდეს არ აკისრებენ; შრომა ისეა განაწილებული, რომ კაცი უმთავრესად, გადაღმა სა-

მუშაოს აკეთებს, ქალი კი ოჯახს უვლის; მაგრამ საოჯახო საქმეებთან ერთად ის შინაწარმოებასაც ეწევა.

მრავალ სხვა პირობებთა გარდა შინამრეწველობის განვითარებაზე გავლენა აქვს კიდევ ადგილობრივ მცხოვრებთა სიმარჯვეს, მოხერხებულობას და ოსტატობას. კავკასიის შინაწარმოებათა ერთი პირველი მკვლევართაგანი ო. მარკვარაფი აქაურ შალების დამზადების აღწერის დროს სხვათა შორის ამბობს... „ყოველივე ეს კეთდება უმანქანოთ, მხოლოდ ადამიანის ძალით, მისი ხელმარჯვეობით და თვალთხედვის სისწორით. საზოგადოთ ადგილობრივ ტეხნიკაში აღსანიშნავია შემდეგი მთავარი შხარეები: მომუშავეს უმრავი პირადი სიძალე, სიმარჯვე, მოხერხებულობა და მოქნილობა ხელის, ფეხის და მთელი ტანის მოძრაობაში, ავტომატიური შრომის გარეშეობა, რომლითაც ხასიათდება უფრო წინწასულ და რთულ იარაღებზე მუშაობა, აგრეთვე მოსწრებულობა და ყოველმხრივი ცოდნა წარმოებებში საჭირო უამრავ მასალებისა და მათი გამოსადეგრობისა“... ”).

ყველაფერი ხელს გვიწყობს შინამრეწველობის განსავითარებლად; საჭიროა მხოლოდ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი დახმარება. ფართო მასტაბით საჭირო მოწყობა, და მაშინ ხალხსაც სამუშაოს მივსცემთ და ნედლ მასალასაც მიზანშეწონილად გამოვიყენებთ.

ამნაირად, ჩვენში შინამრეწველობის უმთავრეს საფუძვლებად შეიძლება ჩაითვალოს:

- 1) ნედლი მასალის საოცარი სიუხვე;
- 2) საქარხნო მრეწველობის თითქმის სრული განუვითარებლობა;
- 3) სახნავ-სათესი და სავარგისი ადგილების სიმცირე;
- 4) სასოფლო სამეურნეო მუშაობის ხასიათი;
- 5) ზოგიერთ რაიონებში, განსაკუთრებით მთიან ადგილებში, ხანგრძლივი და სუსხიანი ზამთრები;
- 6) ქვეყნის კლიმატიური მდგომარეობა (ხელს უწყობს, მაგალ., მესაქონლეობის, მელვინეობის, მეხილეობის, მეურნეობის და მათზე დამყარებულ წარმოებათა განვითარებას);
- 7) რიგიან მიმოსვლის საშუალებათა უქონლობა;
- 8) ქალის სოციალური მდგომარეობა;
- 9) მაღალი ლირსება, სილამაზე და თავისებურობა ბევრ შინამრეწველობის ნაწარმოებთა, რომლისთვის საქარხნო წარმოებას მეტოქეობის გაწევა არ ძალუდს ლირსების და ხშირად ფასების მხრივადაც;
- 10) ძალა, სიმარჯვე, მოხერხებულობა და მოქნილობა ჩვენი ხალხისა. ჩვენში არსებობს ბევრი სხვა-და-სხვა სახის შინაწარმოება. ამათვან

²⁾ О. Маркграфъ „Очеркъ кустарн. пром. С. К.“.

ზოგიერთს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს და მათი ნაწარმოებნი იშვიათად შორდება იმ რაიონს, საღაც მზადდება; ზოგი ნაწარმოებნი ახლო-მახლო მაზრებში იყიდება და ზოგიც უცხო ქვეყნებში იგზავნება:

გავარჩიოთ შინამრეწველობის ის წარმოებანი, რომელთაც ჩვენი ეკონომიური ცხოვრების გამტკიცების საქმეში შეუძლიათ დიდი როლი ითამაშონ, გამოვარკვიოთ მათი მნიშვნელობა და აღვნიშნოთ, ის ლონისძიებანი რომელთაც შეუძლიათ მათი-სათანადო განვითარება და სასურველ დონეზე დამყარება.

3. კაცაბაძე.

ერობის თეოტემართველობები და გადასახადების აკრეფა.

ყველამ კარგათ იცის, თუ რა დიდი ხარჯები აქვს რესპუბლიკის მთავრობას. სახელმწიფოს შენების ხანა, როდესაც საფუძველი ედება სახელმწიფოს არსებობას, ხარჯები ძლიერ დიდი არის. სახელმწიფო იწყებს თავის მეურნეობას განსაკუთრებულ პირობებში: გარშემო მტრები, შიგნით აწეწილი მეურნეობა. სახელმწიფოს მოთხოვნილების და ხარჯების დაკმაყოფილებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს თითოულმა მოქალაქემ. სახელმწიფო უწევს პიროვნებას, მის საკუთრებას მფარველობას, სამაგიეროდ მოქალაქემ უნდა მიიღოს მონაწილეობა იმ ხარჯებში, რომელიც სახელმწიფოს აქვს. ეს არის საანბანო ჭეშმარიტება, ამას განმარტება და მტკიცება არ სჭირდება. გადასახადები მაჩვენებელი არის მოქალაქეების მონაწილეობის სახელმწიფოს მეურნეობაში.

გადასახადების აკრეფის მოწყობა ძლიერ რთული და მძიმე საქმე არის. მოქალაქე ყოველგვარ ლონისძიებას ხმარობს, რათა თავი დააღწიოს გადასახადებს. ათასნაირ ხერხს მიმართავს გვერდი აუხვიოს გადასახადებს. მოქალაქეს განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეში. რამდენა თაც მოქალაქეობრივი გრძნობა განვითარებული და გაძლიერებული არის, იმდენათ უფრო შეგნებულათ ეპურობა მოქალაქე თავის ვალდებულებას.

გადასახადების აკრეფის საქმის მოწყობა ძლიერ ძნელი და სათუთი საქმეა. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ აღვნიშნოთ რომ ეს საქმე რესპუბლიკაში ეწყობა. გადასახადების აკრეფა სწორ ნიადაგზედ არის. რესპუბლიკის მოქალაქეებმა შეიგნეს თავისი ვალდებულება რასპუბლიკისადმი. „მარცხნივ და მარჯვნივ გვიკიუნებენ, შემოღებული გადასახადები ხალხის მეურნეობისათვის აუტანელი არის, გაანადგურებს მეურნეობას. 1919—1920 საბიუჯეტო წლისათვის ნავარაუდევი გვერდა გადასახადების შემოსავალი 163.508.700 მან., ოქტომბრამდე უკვე შემოვიდა 227.922.934 მან., შემო-

სავალმა გადააჭარბა 64,414,234 მან., საბიუჯეტო წლის ბოლომდე შემოსავალი უეჭველად გასამკეცდება თითქოს საიმედო მდგომარეობა არის. თითქოს გადასახადების აკრეფა კარგათ მიღის. ლრმად თუ ჩაუკვირდებით საქმე ისე კარგათ არ არის, როგორც ეს საჭირო იყო. გადასახადების აკრეფის საქმეს ხელს უშლის ისეთი პირობები რომლებიც ჩვენთვის ყოვლად მოულოდნელი არის.

ერობის თვითმმართველობა არის ადგილობრივი წარმომადგენელი მთავრობისა. ერობების თვითმმართველობათა და მთავრობის შორის: არავითარი უთანხმოება არ უნდა იყოს. მათი მუშაობა და მოქმედება უნდა იქნეს შეფარდებული მთავრობის პოლიტიკასთან. ერობები ადგილობრივ მთავრობის ნაწილია. საქართველოს ერობების თვითმმართველობას ღიღი უფლებები აქვს. უეჭველია ეს კანონმდებელმა განზრახ შექნა. რაღან ერობა არის დაახლოვებული დაწესებულება, იცის ადგილობრივი პირობები და ერობების თვითმმართველობა იზიარებს მართველობას მთავრობასთან. ეს საკითხი ნათელია და არ არის სადაცო. სამწუხაროთ ერობების თვითმმართველობები გადასახადების აკრეფის საქმეში ვერ იჩენენ იმ გამჭრიახობას, იმ სახელმწიფოებრივ წარმომადგენელობას, რომელიც აუცილებელია ამ ღიღ სახელმწიფოებრივ საქმეში. რაც ითქვა ერობების შესახებ, იგივე უნდა გავიმეოროთ ქალაქების თვითმმართველობების შესახებ. ქალაქების თვითმმართველობები, ისე როგორც ერობების თვითმმართველობები, წარმოადგენენ მთავრობას აგენტებს. ისინი ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების მოწესრიგებაში და მოწყობაში.

გადასახადების აკრეფაში ერობები და წვრილი ქალაქები, გარდა თბილისის და ქუთაისის, თვითმმართველობები ყოვლად მიუღებელ პოლიტიკას აწარმოებენ.

ბევრს ადგილებში მილიციის მოხელენი აცხადებენ, რომ ისინი „არავითარ მონაწილეობას არ იღებენ გადასახადების აკრეფის საქმეში“. გადასახადები შემოდის, თითონ მოქალაქეებს შემოაქვთ. არის ისეთი ადგილები საზაც მილიცია იღებს მონაწილეობას გადასახადების აკრეფაში. მხოლოდ არავითარი წესი არ არი დაცული აკრეფილი ფულის სამაგიეროთ აძლევენ უბრალო ხელწერილებს; ასეთი ხელწერილების გამცემი მიღიან, ან სამსახურს თავს ანგებენ და მოქალაქეს ხელახლად ახდევინებენ ერთჯერ უკვე გადახდილ ფულებს (სენაკის მაზრა). კომისარიატებში გადასახადების წიგნებს ან აწარმოებენ, სადაც აწარმოებენ ფული შეაქვთ ღიღი ხელი, ხაზინის ფულები ხელზედ ტრიალებს. ზუგდიდის მაზრაში ფული ხაზინაში 13 თვის შემდეგ შეიტანეს. არის შემთხვევა, როდესაც აკრეფილი გადასახადებიდან ნაწილი შეაქვთ ხაზინაში (ოზურგეთის მაზრა).

არის მაგალითები, როდესაც ერობა არავითარ დახმარებას არ უწევს ხარჯ-ამჟრეფ ინსპექციას, ზოგან პირდაპირ ხელს უშლიან. თბილისის, გორის ერობები 5—6 თვემდე აჩერებდა გაუგზავნელათ გადასახადების

ფურცლებს, რომ იმავე ფურცლებში ჩაეწერათ საერობო სანიტარული გადასახადი. გადასახადების ინსპეკტორს კი არწმუნებენ, რომ ფურცლები გადაგზავნილი არის ოზურგეთის მაზრაში თემის გამგეობამ შეაჩერა გადასახადების გადაგზავნა. იმ მაზრებში, რომ ხელი არ შეეშალა საერობო სანიტარული გადასახადის აკრეფისათვის.

არის ისეთი ერობები, სადაც გადასახადების აკრეფის საქმეს დიდ ყურადღებას აქცევენ, ერობა გულმოდგინეთ მისდევს ამ სახელმწიფო საქმეს. დუშეთის ერობამ განსაკუთრებული საქმიანობა გამოიჩინა, და 1 მარტიმდე 1920 წ. აკრეფა 76 % მიწის ერთდროული გადასახადის, მთელ რესპუბლიკაში კი არის გადახდილი 33 %. ზუგდიდის მაზრაში მარტამდე მიწის გადასახადი ერთი კაპეიკი არ შესულა ხაზინაში. სოხუმის ოლქში, აკრეფილია მხოლოდ 0,4 %, თიანეთის—6 %, თბილისის 10 %; ერობების თვითმმართველობანი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მიწის ერთდროულ გადასახადს. 1 მარტამდე აკრეფილი არის 23.850.250 მან.—33 % მთელი გადასახადის. სიღნაღის მაზრაში აკრეფილი არის—76 %, შორაპნის—79 %, რაჭის 76 %, სენაკის—66 % ქუთაისის 55 %; ლეჩხუმის—53 %. მიწის გადასახადიდან შემოვიდა ოქტომბერში მთელი გადასახადის—0,4 %; ნოემბერში 0,8 %, დეკემბერში 8, %, იანვარში 15 %. განსაკუთრებული ყურადღება ერობების თვითმმართველობების ერთდროული მიწის გადასახადებისაგან აიხსნება იმითი, რომ ერობა და მილიციაც დაინტერესებული არის გადასახადების აკრეფაში. გადასახადები, რომლების აკრეფაში პირდაპირ არ არის დაინტერესებული ერობა, სარეწავი, შემოსავლის კვალობაზედ თითქმის უყურადღებოთ არის მიტოვებული. მილიცია გულ-გრილათ ეკიდება ამ საქმეს, ერობის თვითმმართველობა არ იჩენს სათანადო საქმიანობას. მოქალაქის დავალიანება იზრდება, ხაზინას შემოსავალი აკლდება.

ასეთია მდგომარეობა. რა გამოდის ამ მდგომარეობიდან და დასაშვები არის ასეთი პირობები სახელმწიფოსათვის და სახელმწიფო ადგილობრივი წარმომადგენელობისთვის? ერთდროული მიწის გადასახადების აკრეფის მოწყობა ერობების მიერ გვარწმუნებს, რომ ერობის თვითმმართველობებს უნარიც აქვს, საშუალებაც და შეძლებაც გადასახადები აკრიფოს, საქმეს გაუძლვეს. ერობას შეუძლია აამუშაოს მილიცია და საქმე საკირო დონეზე დააყენოს. მაშასადამე, ერობის თვითმმართველობა არის ასეთი კარგი ადგილობრივი ორგანო, დაახლოვებული ხალხთან, რომელსაც აქვს გავლენა და გამჭრიახობა გადასახადები აკრიფოს. ამაში ჩვენ დარწმუნებული ვართ და ამას გვაუწყებს ერთდროული მიწის გადასახადის აკრეფა. მართალია გადასახადი არ არის აკრეფილი სავსებით, აკრეფილი არის მხოლოთ $\frac{1}{3}$, მაგრამ თვითმმართველი თვემდე საქმე გამოკეთებისაკენ მიდის. მილიცია არის ერობის განკარგულებაში და მხოლოდ მას ემორჩილება. თუ ერობა არ მოისურვებს და თითონ არ მიიღებს მონაწილეობას მილიცია თითსაც არ გაანძრევს და მრავალი ცნობები გვაქვს, რომ მილიციას აბუჩად.

ყავს აგდებული ადგილობრივი წარმომადგენელნი ხარჯთ-აშკრეფ ინსპექციასა. ერობების თვითმმართველობანი გულგრილად ეკიდებიან იმ გადასახადებს, რომელშიც თითონ მონაწილენი არიან. მაშასადამე ამ საქმეში ერთნაირი დაპირდაპირება არის ერობის და მთავრობის ინტერესების. მიწის ერთ-დროული გადასახადის მონაწილე არის ერობა, ერობა იჩენს ამ გადასახადის აკრეფაში მხნეობას, საქმიანობას. დანარჩენ გადასახადებში, სარეწავი, შემოსავლის კვალობაზედ, ერობას მომაწილეობა არა აქვს და ამიტომ ერობა არ იჩენს სათანადო უნარს და საქმიანობას გადასახადების აკრეფაში. ასეთი განცალკევება სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეებში ყოვლად შეუძლებელი არის. ერობის თვითმმართველობა არის სახელმწიფოს აგენტები ადგილობრივ, მაშასადამე არსებითად დაუშვებელი არის დაპირდაპირება ერობის თვითმმართველობის და სახელმწიფოს ინტერესების. ერობების თვითმმართველობას ძლიერ დიდი საქმე აქვს. ერობების თვითმმართველობები ეწევიან სახელმწიფო საქმეს და სახელმწიფო თავის სალაროდან უნდაირებს თანხებს.

ნივთიერი დახმარება სჭირდება ერობას და შრავრობა ამას აძლევს. მხოლოდ თუ ერობა არ იზრუნავს სახელმწიფოს შემოსავლის გადიდებაზედ, საიდან უნდა მისცეს დახმარება და შემწეობა სახელმწიფომ?

ჩვენ გვგონია, რომ ერობების თვითმმართველობები მიიღებენ შედევრობაში ზემოყვანილ ცნობებს და სათანადო ყურადღებას მიაქცევენ გადასახადების აკრეფას და დაეხმარებიან მთავრობას ამ დიდ საქმეში.

ს. ავალიანი.

კიდევ საფურთო გადასახადშე *)

(პროფესორ ს. ავალიანის წერილის გამო, იხ. „ერობა და ქალაქი“ № 6).

„ქალაქების და ერობების თვითმმართველობანი გასაჭირს განიცდიან, ხარჯი დღითი დღე იზრდება და შემოსავალი კი ისეთი სისწრაფით არ იზრდება, რომ დააკმაყოფილოს ყოველ დღიური მოთხოვნილებანი“, სამართლიანათ შენიშვნავს პატივუფერებული პროფესორი ს. ავალიანი თავისი წერილის დასაწყისში. ამას შეიძლება დაემატოს, რომ მდგომარეობა იმ ზომამდე მწვავეა, რომ მას შეუძლია სავსებით დაასამაროს ხალხის თვალში დემოკრატიულ თვითმმართველობის პრესტიუზი და იდეა. ზოგან ხალხი უკვე აშკარად საყველურს აცხადებს: „რასაც უწინდელი მთავრობა და თვითმმართველობანი აშენებდენ, ახლანდელი იმის შეკეთებასაც კი ვერ ახერხებს“-ო და, სამწუხაროლ, ეს მწარე სინამდვილეა.

*) მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს იმ შენიშვნას, რომელიც ბ. ავალიანის წერილს გაჟუკეთეთ: რომ ამ საკითხს რედაქცია სადიკუსიოდ სთვლის. რედ.

ასეთ შემთხვევაში ყველა, ვისაც კი აინტერესებს საერთოდ დემოკრატიზმისა და მასთან ერთად დემოკრატიულ თვითმმართველობათა განმტკიცება, იმას კი არ უნდა ცდილობდეს, რომ შეუქნას ამ ნორჩ და მასთან ერთად საერთო პირობების გამო აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნილ თვითმმართველობებს ზედმეტი მუხრუჭები და ბარიერები, არამედ წინათ არსებული დაბრკოლებანიც კი უნდა ჩამოაცალოს მათ სამოქმედო გზაზე და ამით გაუადვილოს მათ საქმის კეთება და გასაჭირიდან გამარჯვებით გამოსვლა.

პატივცემული პროფესორი კი სრულიად წინააღმდეგს ცდილობს თავის წერილში. მას უნდა ზოგ ქალაქს სრულიად წაართვას ის უფლება საფუთო გადასახადზე, რომელიც მას უდავოთ მიანიჭა დამტუქნებელ კრების მიერ გამოცემულმა დეკრეტმა, და ზოგს კიდევ უკიდურესად გაუჭიროს მით სარგებლობა.

პატივცემული ავტორის ზოგი მოსაზრებანი არ არის სწორი და მართალი. მაგ., ის ბრძანებს: „ყველა თვითმმართველობის მოთხოვნა რომ დავაქმაყოფილოთ, საფუთო გადასახადი რომ ყველგან იქნეს შემოღებული, დამყარდება ყოველად აუტანელი პირობები ცხოვრებისა, ალდეგება ძეველი ფეოდალური წესები, რაც დიდ ზიანს მოუტანს საქონლის ტრიალს, გააძვირებს საქონელს, გააძვირებს ისეც საშინლათ გაძვირებულ ცხოვრებას: შეიქმნება ისეთი მდგომარეობა რომ ჩვენ პატარა ტერიტორიაზედ საქონელი, ვიდრე დანიშნულ სადგურს მიახწევდეს, გაივლის რამდენიმე ხელს და რამდენიმეჯერ დაიბეგრება“.

ძნელი გასაგებია რატომ უნდა გაიაროს საქონელმა რამოდენიშე სელში, მართლაც და ისეთ პატარა ტერიტორიაზედ, როგორიცაა საქართველო. ჩვენ გვვინია, რომ დიდი უმეტესობა ($80-90\%$) ჩვენში შემსულ ან ჩვენგან გასულ საქონლისა დაიბეგრება მხოლოდ ორჯერ: ერთხელ მის გამოსავალ პუნქტში და მეორეთ კი დანიშნულების პუნქტში, მაგ., პირველათ ფოთში და მეორეთ კი სენაკში, სამტრედიაში, ზესტაფონში, გორში, თბილისში, თელავში, ოზურგეთში, ან კიდევ უკულმა: პირველათ აღნიშნულ პუნქტებში და მეორეჯერ-კი ფოთში.

ფოთში საფუთო გადასახადი უკვე დიდი ხნიდან არსებობს, მაგრამ ის ისე უმნიშვნელო იყო საქონლის ფასთან შედარებით, რომ მისი სიმძიმე არავის უგრძენია. ასევე უმნიშვნელო იქნება ის მომავალში ვინაიდან, უეჭველია, დაცული იქნება დაახლოვებით იგივე პროპორცია გადასახადსა და საქონლის ფასს შორის, რომელიც არსებობდა ომამდე. ახალი იქნება მცხოვრებთათვის მხოლოდ ადგილობრივი საფუთო გადასახადი, რომელიც თანახმად დეკრეტისა, არ უნდა აღემატებოდეს ძირითად სარკინისგზობრივის აცეკეცს თითო ვერსტზე და ფუთზე, ცალზე ან ვაგონზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ფოთიდან მოსული საქონელი მცხეთის მცხოვრებთ, მაგ., ის რომ ქალაქი იყოს და საფუთო გადასახადი შემოიღოს, დაუჯდებოდა იმ-

დენი, რამდენიც ის უჯდებოდა დლემდე თბილის, ან ბაქოდან წამოსული ნავთი სენაკს დაუჯდება ცოცა ნაკლები, ვიდრე ის უჯდებოდა ფოთს და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს განსხვავება ისე უმნიშვნელო იქნება, რომ მას შეასწორებს ეგრეთ წოდებული ფასების შემრგვალება და ვაჭრები საქონელს ორივე მეზობელ პუნკტში (თუნდაც ერთ მათგანში საფუთო გადასახადი შემოღებულიც არ იყოს) თანასწორ ფასებში გაყიდიან. ქალაქების თვითმმართველობანი კი ამ უმნიშვნელო გადასახადიდან „ც მირу по нитკებ“, გოლო რუბაშკა“-ო რომ იტყვიან, იმისი არ იყოს საარსებო და სამოქმედო სახსარს გაიჩენენ, იმავე ხალხის საკეთილდღეოთ გამოიყენებენ და ალარ იქნებიან ისეთ ყოვლად წარმოუდგენელ და დაუშვებელ უმწეო მდგომარეობაში, როგორმაც დლემდე არიან, როგორი სახითაც მათი არსებობა პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს თვითმმართველობის პრესტიუსოფის ფართო მასის თვალში.

შემდეგ პატივცემული პროფესორი გადაჭრით ბრძანებს, რომ ფოთს პქონდა საფუთო გადასახადი, რომელიც მხოლოდ პორტში მიმავალ გზებს უნდა მოხმარებოდათ.

თუმცა ყოველგვარი შეზღუდვა და უნდობლობა თვითმმართველობებისადმი ძველი ბიუროკრატიული მთავრობისაგან ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგრამ წარმოიდგინეთ, თვით ამ თვისების მთავრობაც კი არ მდგარა ისეთ ვიწრო შეხედულობაზე, როგორსაც მას პატივცემული ავტორი აწერს. აიღეთ მაგ., საფუთო გადასახადის შესახებ 1901 წლის 8 ივნისის კანონი და იმაში თქვენ ახეთ ადგილებს ამთკითხამთ: Ст. IV—2) Комитетъ по портовымъ дѣламъ обязанъ ежегодно передавать въ распоряженіе городскихъ общественныхъ управлений и цыхъ общественныхъ учреждений изъ его специальныхъ средствъ необходимы.... суммы: (а) в) на тѣ общегородскія потребности, которые по особымъ узаконеніямъ было разрѣшено городскимъ управлениемъ относить въ опредѣленномъ размѣрѣ на суммы отмѣняемыхъ портовыхъ сборовъ и г) на возмѣщеніе городамъ отчислявшихся на общегородскія ихъ нужды суммъ тѣхъ отмѣняемыхъ портовыхъ сборовъ, назначеніе которыхъ не было точно опредѣлено въ законѣ.... კიდევ ქვევით: ვ) Остающаяся въ распоряженіи комитета по портовымъ дѣламъ часть его специальныхъ средствъ... распредѣляется комитетомъ между портами, какъ на производство въ нихъ капитальныхъ сооруженій, такъ и на покрытие расходовъ по:.... б) содержанію мѣстныхъ портовыхъ управлений и полиціи въ портѣ.... г) текущему ремонту и содержанію территории порта съ пристанями, причальными линіями и мостовыми, водостоковъ, навѣсовъ, зданій, складовъ, крановъ и иныхъ механическихъ приспособленій для нагрузки и выгрузки, освѣщенію порта, содержанію предостерегательныхъ знаковъ и инымъ надоб-

ностямъ портоваго благоустройства: д) выдачѣ пособій мореходнымъ учебнымъ заведеніямъ, кассамъ служащихъ въ торговомъ флотѣ, матросскимъ приютамъ, больницамъ и т. п. учрежденіямъ".

ასეთი ლიბერალური იუთ ძველი კანონმდებლობის აზრი შედარებით ბ-6 ავალიანის აზრთან:

ასეთივე უოფილა ცალკე მინისტრების აზრიც. ბ-6 6. ნიკოლაძის წიგნაკუში „Полуокопечный сборъ 1908 г. (გვ. I) შემდეგს ვკითხულობთ: „.... Оба министра утверждаютъ (стр. 7 представлениія), что „при обращеніи поступленій этого сбора на потребности порта, торговли и иных общегородскія (ხახი უოველგან ჩვენი), удовлетвореніе коихъ ближайшимъ образомъ обслуживается интересы той же торговли и грузоотправителей, тягость поваго обложенія торговли несомнѣнно возмѣстится уменьшеніемъ накладныхъ расходовъ, при усовершенствованіи способовъ храненія, передвиженія, погрузки и выгрузки товаровъ и доставленіи различныхъ необходимыхъ жизненныхъ удобствъ какъ самимъ грузоотправителямъ съ ихъ семьями, такъ и служащимъ у нихъ лицамъ.... ესეც ძველი მინისტრების აზრი.

ჩვენ ამას შემდეგი უნდა დაუმატოთ: მარტლაც და საქონლის შემოტანა-გატანაზე, მის რაოდენობაზე და ფასზე გავლენას ახდენს არა მარტო გზების ვარგისიანობა, არამედ უოველივე ის საარსებო პირობები, რომელ-შიაც უხდებათ მუშაობა და მოქმედება ამ საქონლის დამტეირთავ-გადამც-ლელ მუშებს, ტრანსპორტის მოსამსახურებს და თვით საქონლის პატრონებს. ამიტომ თითოული გროში, რომელიც მოხმარდება ამ პირობების (გზები, განათება, უშიშროება, ბინები, საავათმყოფოები, გასართობები და კულტურულ—განმანათლებელი დაწესებულებები) აადვილებენ, აძლიერებენ საქონლის ტრიალს და კიდევაც აიაფებენ მას. ამას ბევრი მტკიცება არ უნდა.

გარდა ამისა, ჩვენ დღევანდელ პირობებში, როდესაც მოქალაქე უველაფერს მოითხოვს სახელმწიფოსგან ან თვითმმართველობისგან და გადასახადის კი თითქმის არავითარს არ იხდის, ვიდრე ამ გადასახადების საკითხი სწორად და სამართლიანად ვერ მოგვარებულა, ჩვენ გვვინია, რომ სავსებით დასაშვებია ისეთი თუნდაც არა პირდაპირი გადასახადის გამოყენება, როგორიცაა საფუთო გადასახადი საქონლებზე და მითი მოქალაქეთა საზოგადოებრივ საჭიროებათა დაკმაყოფილება. ამით მე ვფიქრობ ჩვენ არავითარს დიდ ცოდვას არ ჩავიდენთ. ამას წინათ ერთი ინგლისელი მეუბნებოდა: „მე სიამოგნებით ვიხდი საქალაქო გადასახადებს, რადგანაც ვიცი რომ სამაგიეროთ მე მაქვს მოკირწყულული ქუჩა, წყალსადენი, საავათმყოფო, მილიცია და სხვა-ო“.

ლ. დავითაძა.

ვეცერინარული დაწესებულებანი: მთავრობის, ერობის, სამხედრო და ქალაქის და მათი ურთიერთობა *).

დღეს რომ თვალი გადავავლოთ ჩვენს რესპუბლიკას და შევადაროთ ყოფილ რუსეთის სახელმწიფოებრივ კონსტრუკციას დავინახავთ დიდს განსხვავებას.

ფორმარულად, როგორც დღეს ჩვენში, აგრეთვე რუსეთში, არსებობდნენ ერობათა ორგანიზაციები, ქალაქთა მუნიციპალიტეტები, მთავრობის ორგანოები და სხვა. ამ დაწესებულებებს თითქოს ჰქონდათ კიდეც თვით შემოქმედების კანონიერი ნება-ყოფლობაც, მაგრამ თუკი ჩაუკვირდებით მათ წარსულ ცხოვრებას, ისტორიას, დავინახავთ, რომ ამ ორგანიზაციათა უფლებრივი ნორმები შეზღუდული იყვნენ მინიმუმამდის, მათ შეეძლოთ ეკეთებინათ მხოლოდ ის, რაც ხელს უწყობდა არსებულ სახელმწიფოებრივ ფორმების განმტკიცებას და როცა კი ესა თუ ის საზოგადოებრივი ორგანიზაცია თვითმოქმედებაში გამოვიდოდა დაკანონებულ ფარგლებიდან, თუნდაც ეს ნაბიჯი ყოფილიყო კულტურული, პროგრესიული და ფართო მასისთვის სასარგებლო, მთავრობის მძლავრი მუშტი აჩერებდა, ანგრევდა ორგანიზაციას და უთითებდა ძველს კალაპოტს. ჩვენში ეს არ არის, არ უნდა იყოს.

და ეს არის შედეგი სოციალურ-პოლიტიკურ სხვა-და-სხვაობისა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის და ყოფილ რუსეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოებრივ ფორმებისა.

ყველა დარგი საერთო და საქალაქო მეურნეობისა წინად რუსეთში ყალიბდებოდა არსებულ მონარქიურ სახელმწიფოებრივ ფორმებში. ჩვენშიაც ეს ჩამოყალიბება უნდა მოხდეს არსებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ ფორმაში.

ეს კი ნიშნავს იმას, რომ ჩვენში ფარგლები ერობების ფუნქციებისა გაფართოვებულია, შემზღვდველი ინიციატივისა ჩინეთის კედელი დანგრეულია და თვით ხალხს, მათ მიერ შექმნილ ორგანიზაციებს ეძლევა ფართო ასპარეზი შემოქმედებისა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ სახელმწიფოში დღეს პერიფერიებს და თვითმმართველობებს არა აქვთ იმდენი უფლებები თავიანთ საშინაო ცხოვრების მოწესრიგებაში, როგორც ჩვენში და ეს იმიტომ რომ აქ სავსებით განხორციელებულია ნამდვილი პრინციპები დემოკრატიზმისა.

„საქართველო, როგორც თქვა თავის ერთს მოხსენებაში ჩვენმა დე-

*) მოხსენება, წაკითხული ექიმ-ვეტერინართა ყრილობაზედ.

მოკრატიის ბელადმა ნოე ფორდანიაშ, ერთად ერთი სახელმწიფოა, სადაც ცენტრალურ მთავრობას არ ჰყავს მოხელენი. ცენტრალური მთავრობა მხოლოდ სახელმძღვანელო დირექტივების მიმცემი ორგანოს. ერობებს—გარდაეცა არა მარტო თვითმმართველობა, არამედ მმართველობის ფუნქ-ციებიც". თუ ეს ასეა, ჩვენი მოვალეობაა, ჯერ ერთი, როგორც დემო-კრატიულ რესპუბლიკის მოქალაქეთა და მეორეც როგორც ექიმ-ვეტერი-ნართა, შევქმნათ იმისთანა პროგრამა მუშაობისა, რომელიც შეესაბამება, შევფერება ხსნებულ პრინციპს, ჩვენი მოვალეობაა ყოველი ნაბიჯი, ცოდნა, გამოცდილება შევუფარდოთ იმ სახელმწიფოებრივ ფორმას, რომელიც დღეს არსებობს და ეს ჩვენთვის თვით პროფესიის სპეციალური ელფერის. გამოისობით ძლიერ ადვილი საქმეა, რაღან ჩვენი პროფესია — თვით ხალხის, დემოკრატიის ცხოვრების პირობათა სილრმიდან არის წარმოშო-ბილი, საჭიროა ჩვენთვის მხოლოდ ამ პრინციპთა გაგება, მათი შესისხლ-ხორცება და მაშინ ყოველი ჩვენი მოქმედება იქნება ნაყოფიერი და მიზან-შეწონილი.

ჩვენს რესპუბლიკაში დღეს ოთხი ტიპის სავეტერინარო ორგანიზა-ცია: მთავრობისა, ერობათა, ქალაქთა და სამხედრო. აზრი და პრინციპი ამ ოთხ ტიპის ორგანიზაციისა საზოგადოდ არის ერთი და იგივე, მხოლოდ ყველა ტიპის სათითაოდ აქვს თავისი სპეციალური მხარე, თავისი სპეცია-ლური ფუნქციები, თავისი სამოქმედო ასპარეზი, რომელიც დამოკიდებუ-ლია ამა თუ იმ ორგანიზაციის მიზნების სხვა-და-სხვაობაზედ. ამრიგად ეს ფუნქციათა დაფერენციაცია შექმნილია ხელოვნურად კი არა, არამედ გა-მოწვეულია ცხოვრების რთულ პირობათა მიერ, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, თვით ვეტერინარიის საკითხების სიმრავლით და სიფართოვით.

მე შევეცდები სქემატიურად განვსაზღრო: სად თავდება მთავრობის სავეტინარო ორგანიზაციათა კომპეტენცია, სად იწყება ერობათა და ქა-ლაქთა, და სად არის საჭირო მჭიდრო კოორდინაცია.

მაგრამ, სანამ ამის განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროთ ვთვლი მი-ვაქციო თქვენი ყურადღება ერთ მოვლენას, რომელსაც, სამწუხაროდ, ალავი აქვს არა მარტო ვეტერინარიის ორგანიზაციის, არამედ მას აქვს საერთო ხასიათი სხვა საზოგადო დაწესებულებებშიაც.

ჩვენი რესპუბლიკა, როგორც შოგახსენეთ, დღეს წარმოადგენს კონ-გლომერატს თვით-მომქმედ, თვით-მმართველ ერთეულობისას; ერობები, ქალაქები, თემები, კავშირები, კოოპერატივები და სხვა ყველა ეწევა თა-ვის განსაკუთრებულ ცხოვრებას; თითქმის შესუსტებულია ის საერთო ერთი-ერთ შორის მჭიდრო დამოკიდებულება, რომელიც ასე საჭიროა ყველა დემოკრატიულ ორგანიზაციათა შორის; ჩვენ ვხედავთ ბევრგან ერთვარ ქიშპობასაც კი, არა აშკარას, მაგრამ ჩუმს ბრძოლას, რაც ცხადია, თუ ჩავუკვირდებით ჩვენ ცხოვრების მიმდინარეობას და პრესას. ეს განკერძო-ვება, ეს არა სასურველი, მაგნებელი ქიშპობა, უეჭველია დიდი უარყო-

ფითი მოვლენაა და ამისათვის საჭიროა ყოველი ზომების მიღება მის მოსასპობათ და ამისკენ უკვე ჩვენ ვხედავთ გადადგმულ ნაბიჯებს.

წარმოშობა ერთბათა ცენტრისა, კონცერატივთა კავშირისა, ქალაქთა კავშირისა ეს საერთოდ ის ფოკუსია, სადაც თავს იყრიან თვითმომქმედ ორგანიზაციათა ძაფები და ამით ხდება ერთგვარი ცენტრალიზაცია ერთი ტიპის ერთეულებისა. ამით ხდება დაქსაქსულ კულტურულ ძალთა შეკავშირება და ეს კი იძლევა გარანტიას მომავალში მიზან-შეწონილ შემოქმედების უნარისას და დაკანინების თავიდან აცილებისას. ყველა ერთად, ყველა ერთი მიზნისაკენ — აი დღევანდელი ლოზუნგი ჩვენი დემოკრატიულ ორგანიზაციებისა.

ჩვენი ლოზუნგიც ეს უნდა იყოს.

საზოგადოთ კი, განსაზღვრა ფუნქციებისა ნახსენებ სავეტერინარო ორგანიზაციათა შორის, ჩემის აზრით, იქნება ხელოვნური, ფორმალური, რადგან არსებითად არც ერთი სავეტერინარო ორგანიზაცია არ შეიძლება განთავისუფლდეს იმ მოვალეობისაგან, რასაც აკისრებს მას პროფესია, ეს კი აადვილებს ოთხი ტიპის სავეტერინარო დარგის ორგანიზაციათა შეკავშირებას და მიზან-შეწონილ მოქმედებას.

მართლაც და, განა შეიძლება ვთქვათ, რომ, მაგ., ბრძოლა საქონლის ჭირის საშიშროებასთან ევალება რომელიმე ტიპის ორგანიზაციის და დანარჩენი თავისუფლდებიან ამ ფუნქციებისაგან? განა შეიძლება სამხედრო ვეტერინარიას მივუჩინოთ, დავაკისროთ, მაგალითად, სამხედრო მიზნებისათვის გამოსადეგ ცხენების განსაკუთრებულ ტიპების გამომუშავება და სხვას მოეხსნათ ამაზედ ფიქრი და ცდა? განა სავეტერინარო სანიტარია ჩვენი საერთო საქმე არ არის? მე გადაჭრით ვამბობ, რომ არ არის არც ერთი სავეტერინარო საკითხი, რომელსაც არ პქონდეს საერთო, სახელმწიფო ფორმი ხასიათი და არ შედიოდეს ამა თუ იმ ტიპის სავეტერინარო ორგანიზაციების კომპეტენციაში. მხოლოდ სხვა-და-სხვა საკითხის სიმძიმის ცენტრი გადადის ამა თუ იმ ორგანიზაციებზე და ჩვენ უნდა დღეს შევიმუშავოთ გადავჭრათ არა ის, თუ ვის რა ფუნქცია ეკუთვნის, არა ის, რომ ერთმანეთისაგან გადავილობოთ და ვთქვათ: ეს ჩემია, ფეხი არ შემოსდგაო, არამედ ჩვენ უნდა დაკვირებით განავაწილოთ მუშაობა, აქ უნდა მოხდეს სავეტერინარო დარგში შრომის განაწილება. შრომის განაწილება კი ერთსა და იმავე დარგში ნიშნავს არა ანტაგონიზმს, ერთი ჯგუფის მომუშავეთა მეორის წინააღმდეგ დაპირდაპირებას კი არა, არამედ სოლიდარობას და გაერთიანებას. შრომის გონივრული განაწილება ეს რკინის კანონია, რომელიც აადვილებს და აყენებს ყოველ საქმეს წინსვლის გზაზე. ამას ამტკიცებენ ყველა წარმოების, მრეწველობის კანონები და ეს შრომის განაწილება უაღრესს გამომხატველობას იღებს ჩვენს რესპუბლიკაში ორგანიზაციათა დეცენტრალიზაციაში:

დამეთანხმებით, რომ ყველა ჩვენგანი შესძლებდა მუშაობას ამა თუ იმ

ორგანიზაციაში, რადგან ჩვენი პროფესიის სწავლის სტაჟი გვაძლევს საერთო ერთგვარ ცოლნას, სწურავს ყველა სავეტერინარო კითხვების შესწავლას, რასაკვირველია, აქ მხოლოდ თამაშობს როლს შემდეგი სპეციალიზაცია ამა თუ იმ სავეტერინარო მხარისა.

და ამ რიგად შრომის განაწილების საზომად უნდა დაიდოს ერთი მხრივ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი და მეორე მხრივ კი განსაკუთრებული პირობები საქალაქო, საერობო, სამხედრო და სახელმწიფოებრივი მუშაობისა.

დავიწყოთ უმთავრეს საკითხიდან: ვეტერინარ-ექიმთა კადრის შექმნა ეს კითხვა ჩვენთვის დღეს მწვავე კითხვაა და ამ კითხვის გადაჭრა შეადგენს არა რომელიმე ორგანიზაციის მონოპოლიას; ეს არის საერთო სახელმწიფოებრივი საკითხი და მის სათანადო გადაჭრაში დაინტერესებული ვართ მარტო ჩვენ ყველანი კი არა, მთელი ერი, მთელი რესპუბლიკა.

ჩვენი კადრი ექიმ-ვეტერინართა განისაზღვრება არსებულ რიცხვით და მომავალში, თუ არ იქმნა მიღებული ზომები, უნდა მოველოდეთ მომატებას კი არა, უფრო შემცირებას.

ექიმ-ვეტერინართა კონტინგენტის შესავსებლად არის ორი გზა: 1, ან ყოველწლიურად ახალგაზლათა გარკვეულ რიცხვის მივლინება საზღვარ გარეთ ამ სპეციალურ დარგის შესასწავლად და ან, 2, ქართულ უნივერსიტეტში სავეტერინარო ფაკულტეტის გახსნა იმ სახით, როგორც არის ზოგიერთ უნივერსიტეტებთან საზღვარ გარეთ.

მეორე აზრი უფრო მისალებია; რადგან სავეტერინარო, მედიცინის და აგრონომიულ ფაკულტეტებს საერთო ბევრი აქვთ და ორი უკანასკნელი დარგის პროფესურა სავსებით გამოადგებოდა სავეტერინაროსაც გარდა სპეციალურ სავეტერინარო საგნებისა, რომლებისთვისაც დაგვჭირდება რამდენიმე ახალი პროფესორი. ამ რიგად მოწყობილი ფაკულტეტი არ გამოიწვევს ბევრს ხარჯს, მაგ. როგორც სავეტერინარო ინსტიტუტის დაარსება და არც საჭირო იქნება უნივერსიტეტთან განსაკუთრებულ მეცნიერულ დაწესებულებების შექმნა, როგორც არის ლაბორატორია, ბაქტერიოლოგიური, ფიზიკის და სხვა კაბინეთები.

ავილოთ მეორე კითხვა საქონლის ჭირთან ბრძოლისა და საზოგადოთ ეპიზოტიკებთან. ვის რა როლი უნდა მივცეთ ამ ბოროტებასთან ბრძოლაში? თვით სხვა-და-სხვა სავეტერინარო ორგანიზაციათა არსებობა გვიკარნახებს, რომ ეს ბრძოლა ყველამ უნდა აწარმოოს თავის რაიონში: საქალაქომ—ქალაქში, ერობამ—ერობის ტერიტორიაზედ, სამხედრომ—განსაზღვრულ მასშტაბით და სახელმწიფომ—მთელს სახელმწიფოში; უფლებათა ნორმებიც ამ ორგანიზაციებისა განისაზღვრება სწორეთ სამოქმედო ასპარეზის მასშტაბით და, თუ დამეთანხმებით, რომ ბრძოლა ეპიზოტიასთან არის სახალმწიფოებრივი საქმე, აშკარაა კანონმდებლობა უნდა ეკუთვნოდეს მის

შესახებ სახელმწიფოს უზენაეს ორგანოს დამფუძნებელ კრებას, მხოლოდ ამ კანონების ცხოვრებაში უცვლელად გაყვანა და ორგანიზაცია მთავრობას.

ცხადია ყველა სხვა კითხვები, რომელიც ორგანიულად არიან დავკა-შირებულნი ამ უმთავრეს კითხვასონ, ე. ი. ეპიზოოტიის წინააღმდეგ ბრძოლასთან—ეკისრება სახელმწიფოს, როგორც მაგ.. დაცვა თავის ტერიტო-რიტოსა ამ ეპიზოოტიისაგან, თვალყური შინა სანიტარიაზედ და სხვა. ჩვენ ვიცით რომ როგორც სხვა დარგს, აგრეთვე ვეტერინარიასაც აქვს ბევრი მხარე, რომელიც უპირველესად ყოვლისა სახელმწიფოებრივი ხასიათისაა და მაშასადამე ამ კითხვათა ამოწურვა და გადაჭრა უნდა დაეკისროს თვით სახელმწიფოს, სიმძიმის ცენტრი ამგვარად უნდა გადავიდეს სახელმწიფო სავეტერინარო ორგანოზედ, დანარჩენი კი ხელს უწყობდნენ და ეხმარე-ბოდნენ ამ როლის განხორციელებაში.

ავილოთ ერობის ორგანიზაცია: ამბულატორიების და დიაგნოსტიურ კაბინეტების მოწყობა, სპორადიულ თვისებების სენებთან ბრძოლა, ზოო-ტეხნიკური კითხვები, საცდელ ფერმების შექმნა და სხვა ადგილობრივი სავეტინარო საკითხები. რასაკვირველია, სიმძიმის ცენტრი მთელი ამ კით-ხვების მოწესრიგებაში გადადის ერობის ორგანიზაციებზედ და სახელმწიფო ებმარება, ხელს უწყობს როგორც ტეხნიკურად ისე მატერიალურად, თუ ერობას არ შესწევს საჭირო ძალა და ჯიბე. ასეთივე პირობებშია საქა-ლაქო ვეტერინარული ორგანიზაცია და სამხედრო. როგორ უნდა იყვნენ მოწყობილნი თვით ორგანიზაციები? ამაზედ ლაპარაკი მეტია, რადგან ყველა ჩვენთანგანმა იცის, რომ ჩვენი დარგი უნდა იყოს დამოუკიდებელი, ყველა ერობას, ქალაქს უნდა ჰქონდეს შეკრული სათანადო ორგანიზაცია, რომლის სათავეშიაც უნდა იღეს. ექიმ-ვეტერინარი, უნდა დაიყოს მაზრა-ქალაქი-რაიონებად და სხვა. და თუ ეს ასეა, მაშასადამე სავეტერინარო ორგანიზაციები უნდა მოთავსდენ სხვა დარგების დაკვალად ერთს კალა-პოტში, რითაც იქნება მიწვეული ერთგვარობა სისტემისა, დაცულ იქმნება ერთგვარობა ტიპისა, რომელიც გულისხმობს აგრეთვე ერთგვარობას უფ-ლებების ნორმებისას.

მე მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება იმ ახალი ორგანოს შექმნა-ზედ, რომელიც დღეს ჩვენში არ არსებობს, მაგრამ მისი აღმოცენება კი ძლიერ საჭიროა და აუცილებელია. თავშივე მოგახსენეთ, რომ ყველა ერთი ტიპის წვრილი ერთეულების ცხოვრებაში დაიბადა ტენდენცია შეკავში-რებისა და ერთი საერთო ორგანოს შექმნისა, რომელიც აერთებს რა მათ, ამავე დროს უჩვენებს საერთო პრაკტიკული ნაბიჯების გზას, რითაც ახწევს როგორც ცოცხალი ძალების, აგრეთვე ენერგიის ეკონომიას და ამ რიგად დაკავშირებულ ახალგაზრდა შექმნილ ორგანიზაციებში არ უნდა ჰქონდეს ალავი ექსპერიმენტებს, აქეთ-იქით გადახვევ-გადმოხვევას და სხვა-და-სხვა საეჭვო გზების ძებნას ამა თუ იმ მიზნის განსახორციელებლად.

ერობების ერთეულების და ქალაქთა ურთი-ერთ შორის დამოკიდე-

ბულობის ფოკუსი სწორეთ მათ ცენტრშია, რადგან ეს ცენტრი არის სწორეთ რეგულიატორი და ამავე დროს ბარომეტრი ქალაქთა და ეროვნათა სისუსტე-სიძლიერისა.

დღეს ჩვენ დაქსასულნი ვართ და ყველა ორგანიზაციას ჰვონია საკუთრად შეუძლიან საქმის წარმოება, საკუთრად შეუძლიან ვეტერინარიის საკითხების გადაჭრა. ეს ფანტაზია და თავის მოტყუილება. ჩვენ უნდა გულ-ახდილად ვთქვათ, რომ ძლიერ ცოტანი ვართ შედარებით ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიის მოთხოვნილებებთან და მეორე არც ისე სათანა-დოთ მომზადებულნი ვართ იმ ახალ ცხოვრებისათვის, თვით მოქმედებისა-თვის და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისათვის, რომლის პროცესშიაც ჩვენ ვიმყოფებით და თუ ასე დაქსაქსულნი ვიარეთ, როგორც დღემდის დავდლიოდით, გადაჭრით შემიძლიან ვითხოდათ, რომ ჩვენ ვერ გამოვალთ რუტინიდგან, იმ ყოველ დღიურ წვრილმალიდგან, რომელიც ვერც წინსვ-ლას და ვერც კარგ მომავალს გვიქადის. ჩვენი ძალაც კავშირშია და ეს კავშირი კი არ უნდა იყოს მარტო პროფესიანალური, ეს კავშირი უნდა იყოს სახელმწიფოებრივი. რას ნიშნებს ეს?

მე ვამბობ, იმის გარეშე რომ არსებობენ ოთხი სავეტერინარო ორგანიზაციები, უნდა შეიქმნეს ერთი ორგანიზაცია ამ ოთხთა შემაკავშირებელი, რომელსაც უნდა მიეცეს სახელმწიფოებრივ ორგანოს ფუნქციები.

თუ ყველა ოთხი კატეგორიის სავეტერინარო ორგანიზაციები განცალკევებით შეუდგებიან სხვა-და-სხვა კანონ-პროექტების შემქნას და განკრძოვებით შეეცდებიან მათ განხორციელებას, მე გადაჭრით შემიძლია ვთქვა, რომ საბოლოოდ მივიღებთ ქაოსს, უურო დიდს რღვევას; თუ გვსურს წინსლვა თუ გვაინტერესებს საქმიანობა, საჭიროა მჭიდრო კოორდინაცია მჭიდრო დამოკიდებულება, სოლიდურობა და მოქმედების ჰარმონია. ეს კი შესაძლოა იმავე გზით, რომელსაც აღვიან დღეს ყველა დემოკრატიული ორგანიზაციები. ეს არის შეკავშირების გზა.

ჩემი რწმენით, საჭიროა ყველა ორგანიზაციებმა წამოაყენონ თავი-ანთი წარმომადგენელნი და ამ წარმომადგენელთაგან შესდგეს საქართველოს რესპუბლიკის სავეტერინარო კომიტეტი, რომელსაც უნდა მიეცუავნოს ფუნქციები უმაღლეს სავეტერინარო ორგანოსი.

ამ ორგანომ უნდა შეიმუშაოს კანონები, ამოსწუროს სავეტერინარო საკითხები, ყოველ მხრივ გააშუქოს და კანონმდებლობითი ორგანოს და მთავრობის სანქციის შემსრულებელი ეს კანონები, რასაკვირველია, გახდებიან სავალდებულოდ ყველა კატეგორიის სავეტერინარო აღმასრულებელ ორგანოებისთვის და მთელი რესპუბლიკის მოქალაქეთათვის.

ამაშია ჩვენი ხსნა, ამაშია ჩვენი ძალა.

თუ პრაკტიკულად როგორ და რა გზით უნდა გახორციელდეს ნახ-სენები კომიტეტის შედგენა და ვისგან და რამდენი პირი უნდა შევიდეს ამ კომიტეტში—ეს მეორე ხარისხის კითხვაა და თუ, პრინციპითალურად

ყრილობა დაეთანხმება ჩემს წინადადებას, დეტალურად განსახილველად და სქემატიურად პროექტის დასამუშავებლად უნდა დღესვე ამოირჩეს კომისია და დაევალოს მას აღნიშნული ფუნქცია.

მე არ შევხეხე ყველა ოთხი კატეგორიის ორგანიზაციების სამუშაო გეგმის განხილვას, არც განვსაზღვრე უფლებრივი ნორმები, რადგან ეს იქნებოდა ჩემი მხრივ წინააღმდეგობა იმისი, რაც მოგახსენეთ: ყოველივე ეს უნდა გამომუშავდეს რესპუბლიკის სავეტერინარო კომიტეტში, აღნუსხოს ფუნქციები და მოვალეობანი ყველა ორგანიზაციისა და ამ მოვალეობათა აღნუსხვა გვიჩვენებს უფლებრივ ნორმებსაც, რადგან უფლება უმოვალეობით—ფაქტია. დღეს კი ჩვენი საქმიანობა მიღის ძველ ინერციით და ვიტყვი მეტს, ეს ინერციაც შერყეულია და ამიტომ ჩვენ მთელ რესპუბლიკის ვეტერინარიას აზის ბეჭედი უსისტემატობისა და სისუსტე-საქმიანობისა.

დარწმუნებული ვარ, ყველა მოვედით აქ იმიტომ კი არა რომ გავიყოთ ის, რაც გასაყოფელი არ არის, არამედ შევკავშირდეთ და საერთო ძალით, ცოდნით და გამოცდილებით შევქმნათ ჩვენთვის ძვირფასი საქმე ვეტერინარიასა და ჩავაყენოთ იგი იმ ნორმარულ კალაპოტში, რომლისაკენაც მიგვაქანებს დემოკრატიული ტალღა.

ექიმი-ვეტერინარი ვ. ლაშაური.

ცხობები ადგილებიდან.

გაგრის ქალაქის თვითმმართველობის და კლიმატიური სადგურის სამმართველოს ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ.

გაგრას არა აქვს კურორტიული მნიშვნელობა. მისი გეოგრაფიული მდებარეობა იძლევა დიდ იმედებს, რომ გაგრა უნდა აყვავდეს როგორც სამრეწველო ქალაქი. გარს შემორტყმული მდიდარი ხე-ტყე, თუთუნის პლანტაციები, ბზიბის და პიჭუნდის ჯერ გამოუკვლეველი ბუნებრივი სიმდიდრე, დიდი სახელმწიფო კულტურული ქონება, როგორც არის „იგუმნევო“, „კოლექტიდა“, „ოტრანდო“ და სხვა შიგ მოწყობილი ევროპიულ სისტემაზე ქარხნებით და მაშინებით—ყველა ესენი ლაპარაკობს იმაზე, რომ გაგრის მომავალი დიდია.

გაგრა გაყოფილია ორ პატარ-პატარა ქალაქებათ—ძველი და ახალი გაგრა.

გაგრაში არსებობს ორი მმართველობა:

ქალაქის თვითმმართველობა და კლიმატიური სადგურის გამგებლობა.

კლიმატიურ სადგურის გამგებლობას ეკუთვნის თითქმის მთელი ძველი გაგრა თავისი ტყე-მინდვრებით, ქარხნებით, აბანოებით, წყალ-სადენით,

ელექტრონის სადგურით, სიბინძურის გამწმენდი არხით; გზა, ბაღები, მოედნები, საექსპლუატაციო გაშენებული შენობები, საავათმყოფო, აფთიაქი, ტელეგრაფი და სხვა საზოგადო ხასიათის დაწესებულებანი.

გაგრის თვითმმართველობა არის რესპუბლიკის ადგილობრივი მმართველი და თვითმმართველი ერთეული, რომელიც თავის მილიციით იცავს წეს-რიგს, თავისი შეკავშირებული ორგანიზაციებით ატარებს პოლიტიკურ ხაზს, ეწევა ხალხის მართვა-გამგეობას და სწევს პასუხის მგებლობას, როგორც მთავრობის ისე ხალხის წინაშე.

კლიმატიური სადგურის გამგებლობა შესდგება ტანიშნული მოხელეებისაგან. ის ვერ უვლის ამ დიდ სახელმწიფო და სახალხო ქონებას. ნადგურდება და იფლანგება ეს ქონება, გამოილია დაგროვილი მასალები, დაინგრა ტელეფონის სადგური, გაფუჭდა სიბინძურის გამწმენდი არხი, დალპა ელექტრონის ბინები, ჩაიტანა. ზღვის ორი მესამედი საუცხოვო ტროპიული მცენარეებით მოწყობილი ბაღები და მიადგა დასანგრევათ მთავარ შოსეს: მთელი წლობით დაკეტილია აბანოები, საავათმყოფო და სხვა.—კაპიტალურ რემონტს მოითხოვს წყალსადენი მილები, ელექტრონის სადგური, უმოძრაოთ სდგას ევროპიულ სისტემაზე მოწყობილი ხე-ტყის ქარხნები, ძეხვისა და სპირტის ქარხნები და სხვა. ერთი სიტყვით ოდესლაც მშვენიერი გაგრა დღეს წარმოადგენს გაპარტახებულ აოხრებულ ქალაქს.

არც ერთ ზემოქამოთვლილ დარგებზე არ ვრცელდება ქალაქის უფლება.

ამ ორ მმართველობის შორის არსებობს მუდმივი და განუწყვეტელი ბრძოლა, რის შედეგიც არის, რომ საზოგადოებრივი აზრი ორ ნაწილად დაიყო. მცხოვრებთა დიდი უმეტესობა მომხრეა და იცავს დემოკრატიულ თვითმმართველობას, უმცირესობა კი განსაკუთრებით დიდი მესაკუთრენი კლიმატიურ სადგურს.

გაგრის ქალაქის თვითმმართველობას არა-ერთხელ აღმოჩნდა შუამდგომლობა, რომ მას გადაეცეს ღროებით, რა სახითაც უნდა იყოს ეს, იჯარით თუ გამოსყიდვით, ის საზოგადო მნიშვნელობის დარგები, ურომლისოთაც არ შეუძლია ქალაქს არსებობა და ერთხელ და სამუდამოთ გამორკვეულიყო ურთიერთობა ამ ორ მმართველობის შორის, მაგრამ შუამდგომლობის შედეგი არ სხანს.

გაგრის თვითმმართველობა აღნიშნავს, რომ თუ ეს კითხვა არ მოგვარდა ძლიერ ახლო მომავალში, ის იძულებული იქნება შესწყვიტოს თავისი მოქმედება; რომ ეს არ მოხდეს, ამისთვის აუცილებელი საჭიროებაა დაუყოვნებლივ გადავიდეს უფასოთ და სრულ მის განკარგულებაში შემდეგი დარგები: 1) კონკის გზის ლიანდაგი უკვე არსებობს და უფლება მის დასასრულებლათ ახალ გაგრამდე. 2) კლიმატიური სადგურის ყველა ჰიგიენური აბანოები. 3) სასაკლაო; 4) საავათმყოფო; 5) სავაჭრო საბაზრო აღგილები; 6) წისქვილი; 7) ფურნე.

რაც შეეხება სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ მნიშვნელოვან საწარმოვო და საკურორტო დარგებს გავრის თვითმმართველობა ფიქრობს; ყველა ესენი საბოლოოთ უნდა გადავიდეს ქალაქის თვითმმართველობის ხელში, მაგრამ რა პირობებში მოხდება ეს—უნდა გამომუშავდეს მთავრობის მიერ.

გაგრის თვითმმართველობის.

წარმომადგენელი: გ. მგელაძე.

პროცეს.

საქართველოს რესაუბლივის დამფუძნებელ პრეზიდენტი.

დეკრეტი: მიწათ-მოქმედების სამინისტროს საიჯარო განყოფილების საერთო შემოსავლიდან 20 პროც. ერობათა სახარგებლოდ გადადებისა. 1. ერობათა ახალი საბიუჯეტო უფლების შემუშავებამდე მიწათ-მოქმედების სამინისტროს საბჯარო განყოფილების საერთო შემოსავლიდან, რომელიც უკვე შეტანილია სახელმწიფო ხაზინაში, სათანადო ერობის სასარგებლოდ გადარიცხულ იქნეს 20 პროცენტი: 1) ყოფილ სახაზინო მიწებიდან და საიჯარო მამულებიდან, 2) სახელმწიფო საფონდო მიწებიდან და 3) საზაფხულო და საზამთრო საძოვრებიდან.

შენიშვნა: იმ შემოსავლიდან, რომელიც შემოტანილ იქნება ჭირნახულით, ერობებს მიეცემათ ჭირნახულის სათანადო პროცენტი.

2. პირველი მუხლის თანახმად გადარიცხული თანხა, გარდა საძოვარი ადგილების შემოსავლისა, რომელსაც აქვს სპეციალი ქვემოთ აღნიშნული დანიშნულება, ერობას აქვს უფლება მოიხმაროს საერთო საერობო საჭიროებისათვის; საძოვარი ადგილების შემოსავალი უნდა მოხმარდეს: საქონლის სნეულებასთან ბძოლას, საბეითლო დახმარებას, საქონლის სატარებლად გზების გაუმჯობესებას, ხიდების შეკეთებას, საქონლის მოშენებას და მეურნეობასთან დაკავშირებულ საჭიროებას.

3. 1 მუხლის თანახმად ერობის სასარგებლოდ გადასარიცხავი თანხა ყოველწლიურად შეტანილ უნდა იქნეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს საიჯარო განყოფილების ხარჯთ-ალრიცხვაში.

4. საბიუჯეტო წლის დამთავრების არა უგვიანეს ორი თვისა მიწათ-მოქმედების სამინისტრო ვალდებულია ყოველი ერობისათვის ცალკე სავარაუდო ალრიცხვა შეადგინოს და მთავრობაში გაუსწოროს მას ანგარიში.

მთავრობაში.

ერობათ სასარგებლოთ თანხის გადადება. დამფუძნებელ კრების აგრძარულ კომისიის მიერ შემუშავებულ იქმნა და განსახილველად—დამფუძნ. კრებას გადაეცა პროექტი დეკრეტისა, რომელიც ეხება მიწათმოქმედების გადასახადების ამკრებ განყოფილების შემოსავლიდან ერობათ სასარგებლოთ 20 პროც. გადადებას. თანახმად პროექტისა საბიუჯეტო უფლების განხილვამდე, მიწათ-მოქმედების გადასახადის ამკრებ განყოფილების შემოსავლიდან, რომელსაც სახელმწიფო ხაზინაში შეიტანებენ, ერობის სასარგებლოთ უნდა გადაიდვას 20%, სხვათა შორის პროექტში აღნიშნულია, რომ თუ გადასახადი შემოტანილი იქნება ნატურის სახით, მაშინ ერობას დახმარებაც ნატურის სახით მიეცემა.

— რესპუბლიკის ქალაქის მილიციის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება. 1. შინაგან საქ. მინისტრის მოხსენება, თბილისის გამოკლებით, რესპუბლიკის ქალაქის მილიციის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა და საბიუჯეტო წლის ბოლომდე მთელი ხარჯების 50% სახელმწიფო ხაზინიდან გაღების შესახებ მიღებულ იქნას და სათანადო დეკრეტი გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

2. მომავალში მილიციის შტატები უნდა განხილულ იქნას მთავრობის მიერ.

— ჭიათურის შავ-ქვაზე სამუნიციპალო გადასახადების შემოღება. ჭიათურის შავ-ქვაზე შემოლეპულ იქნას ქ. ჭიათურის, ფოსისა და შორაპნის ერობის სასარგებლოდ სამუნიციპალო გადასახადი 1 მან. 50 კაპ. რაოდენობით აღნიშნულ გადასახადის დასახელებულ ქალაქთა და ერობის შორის განაწილება მიენდოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს.

სათანადო დეკრეტი დამფუძნებელ კრებას წარუდგინოს ფინანსთა სამინისტრომ.

— დაზმარება ერობებს. შინაგან საქმეების სამინისტრომ მთავრობას შუამდგომლობით მიმართა, რათა 100 მილიონ დაზმარების ფონდიდან თითო მილიონი მისცეს შემდეგ ერობებს: თიანეთის, რაჭის კოლორისა და გუმისტინისას.

— ლეჩხუმის ერობამ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს თხოვნით მიეცეს მას 5 მილ. სესხი 100 მილიონ ფონდიდან, რომელიც იმყოფება მთავრობის განკარგულებაში.

ქალაქთა თვითმმართველობის მინისტრი.

ქალაქთა კავშირი.

4 ივნისს ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის თავმჯდომარეობით შესდგა კომიტეტის მორიგი სხდომაზე. სხდომაზე

კომიტეტის წევრმა კ. კალანდარიშვილმა აღძრა ჯერ კიდევ გადაუჭრელი საკითხი ქუჩების გასაფართოებლად მიწების ჩამოჭრის შესახებ. ამავე საკითხის შესახებ კომიტეტის წევრმა ვ. შარაშენიძემ, რომელიც ითვლება ამ საკითხის ინიციატორად განაცხადა, რომ ფრიად მნიშვნელოვანია ამ საკითხის პრინციპიალურად გადაწყვეტა. ვინც გაცნობილია საქართველოს ქალაქების ცხოვრებას, ის დამეთანხმება, რომ საჭიროა ბოლოს და ბოლოს ქუჩების მოწყობა, ვინაიდან თუ ეს ეხლავე არ იქნა გაკეთებული, შემდეგ აღარ იქნება არავითარი საშუალება მათ შესაკეთებლად, ვინაიდან ქალაქს არა აქვს საამისო სახსარი. მიწების ჩამორთმევა უნდა ხდებოდეს უფასოთ, ხოლო ანაზღაურებას მიიღებენ ჩამორთმეულ შენობების და სახლების მებატონნები.

საკითხის საუკეთესო გადასაჭრელათ უბანში მიწების გადაყოფა და ამ მოწესრიგების გამო დაზარალებულთადმი სამაგიერო ჯილდოს მიცემა მეზობელ მესაკუთრეთა ხარჯზე მათი მიწის მფლობელობის პროპორციის და მიხედვით. საკითხის სხვა გვარი გადაჭრა საქმეს ვერ უშველის. კომიტეტის წევრმა კალანდარიშვილმა აღნიშნა. რომ ქუჩების მოწესრიგების საჭიროება არის არა თუ ახალ, არამედ ძველ ქალაქებშიც, როგორც მაგ. თბილისა და ქუთაისში. ამ საკითხის გადაჭრა ძნელია, რადგან შეუძლებელია ყველა ქალაქში ეს საკითხი ერთი შაბდონით გადაიჭრას. ქუჩების მოწესრიგების საკითხთან შეკავშირებულია მთელი წყება სერიოზული საკითხებისა, როგორც მაგ. სახლების დანგრევა და სხვ. მოწესრიგების ასეთი უფლება არ შეიძლება კონტროლის გაუწევლად აღგილობრივ თვითმმართველობათ მიენიჭოს. საჭიროა კანონმდებლობითი ორგანოს კონტროლი. კამათის შემდეგ მოკლე რეზიუმე გააკეთა კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ზ. ელიავამ, რომელმაც აღნიშნა: ვ. შარაშენიძისა და სხვათა წინადადებაა: ქალაქებს მიეცეს უფლება იძულებით ჩამოართვან მიწა ქალაქში მყოფ პატარა მდინარეთა მოსაწესრიგებლად და ქუჩის კანონიერ მინიმუმამდე გამაფართოებლიდ იმ მესაკუთუეებს, რომელთა აღგილი ამ ქუჩებსა და მდინარეებს ესაზღვრება — ამ აღგილების გადაყოფით ყოველი მესაკუთრის აღგილის სიდიდის პროპორციის და მიხედვით.

მთავარი კომიტეტი დაეთანხმა ამ წინადადებას. საკითხის ტეხნიკური დამუშავება მიენდო აღმასრულებელ ბიუროს.

ამავე სხდომაზე დაადგინეს აღძრან საკითხები: აფთიაქების მუნიციპალიზაციის, მუნიციპალურ პოლიტიკის, ქალაქთა საბიუჯეტო უფლების და სხვ. შესახებ. ყრილობაზე მომხსენებლად დანიშნულნი არიან: მუნიციპალურ პოლიტიკის შესახებ ბ. ჩხივიშვილი. „კომუნა და სახელმწიფოს“ შესახებ კი ქუთაისის ქალაქის თავი დ. თოფურიძე.

ბ ლ 8 0 9 4 0 1 ქ ა ლ ა ქ ე ბ 0 6 1 9 2 0 წ. თ ე რ ს ა ვ დ 0 6 ა ლ რ 0 6 3 0 .

8 8

შემოსავლის საგნები.	ცდა ლ	ტუ ნი დ	ტუ ნი დ	ტუ ნი დ	ტუ ნი დ	ტუ ნი დ	ტუ ნი დ	ტუ ნი დ	ტუ ნი დ
მანები.	კ.	მანები.	კ.	მანები.	კ.	მანები.	კ.	მანები.	კ.
§ 1. გადასახადი უძრავ ქანებაზედ . . .	—	1.360.900	—	657.760	—	1.531.030	—	50.559.49	130.000 —
§ 2. სავაჭრო-სამრაწველო გადასახადი	246.616.81	347.000	—	175.700	—	77.000	—	147.580	445.000 —
§ 3. მრაწველობა ზიღვით და სხვა . . .	—	—	—	28.840	—	34.000	—	§ 6. საფურთ ვადასაზ, შემოსავი, 12.000	§ 6. გრ. დადი- ანის თან, შემოსავი, 414.94
§ 4. სხვა-და-სხვა გვარი გაყენი . . .	259.736.85	207.000	—	10.000	—	1.161.200	—	—	100.000 —
§ 5. ქალაქის ქანებიდან	2.127.006.96	326.678	—	81.300	—	—	—	12.160	532.160 —
§ 6. ქალაქის საწარმოთ დარღვების შე- მოსავალი	1.469.080	3.439.907	—	917.120	—	832.000	—	1.549.824	1.500.000 —
§ 7. დახმარებანი და ასანაზღურები ნარჯები	3.126.388.02	742.201	—	1.053.590	—	994.696	—	§ 5. § 7. 300.000	327.950 — 1.720.000 —
§ 8. სხვა-და-სხვა შემოსავალი	20.000	650.299	—	1.039.800	—	4.450	—	§ 9. საწილი სა- ნიტ. გად.	529.960 — 2.315.311 —
ს ე ს ხ ი	10.000.000	—	4.955.616 ¹⁾	—	—	—	—	181.000	2.161.917 —
ს უ ლ უ შ ე მ თ ს ა ვ ა ლ ი: 1920 წ.	17.248.829	6412.058.441	—	3.969.270	—	4.857.926	—	3.000.000	—
									7.141.028 —

¹⁾ ქალ. ოლქას შემოსავლის აღრიცხვაში აღნიშვნული აქტები დაფიციტი 5.269.866 მან.

ზ მ გ ი ნ ი ს 1 9 2 0 6 1 9 2 0

გასაკლის საგნები.	კლი	შე					
		მან.	პ.	მან.	პ.		
1. პენსიონერთა შენახვა	—	—	—	—	—	—	—
2. ქალ თვითმმართველობის შენახვა	1.535.064	30	1.1.35736	—	—	—	—
4. სამხედრო-საბინაო ბეგარა	6.000	—	—	—	—	—	—
5. ქალაქის მილიციის შენახვა	2.386.928	—	841.522	—	—	—	—
6. ცეცხლის მქრობელ რაზმის შენა- ხვა	—	—	—	—	—	—	—
7. ქალაქის კეთილმოწყობილება .	995.672	—	3.316.379	—	—	—	—
8. ქალაქის მუნიციპალური დაწესე- ბულებათა შენახვა	3.253.944	—	2.101.420	—	—	—	—
9. სახალხო განათლება	3.757.018	80	2.616.416	—	—	—	—
10. საზოგადოებრივი დახმარება .	20.612	—	50.000	—	—	—	—
11. საექიმო-სასანიტარო და საბე- ითლო განყოფილება	370.119	02	592.760	—	—	—	—
12. ანაზღაურება საქელმწიფო და ერობის გადასახადისა	6.100	—	—	—	—	—	—
13. ქალ. უძრავ ქონების მოწყობა და შენახვა	3.563.640	—	115.613	—	—	—	—
14. ქალაქის გადასახადები	—	—	—	—	—	—	—
15. სათადარივო თანხა	—	—	—	—	—	—	—
16. სხვა-და-სხვა ხარჯები	333.108	50	322.420	—	—	—	—
17. სააღმშენებლო თანხა უძრავ ქონების შეძენა ვალების გადახდა	—	—	—	—	—	966.175	—
სულ გასავალი 1920 წ.	17.248.828	64	12.058.441	—	—	—	—

შენიშვნა: 1) უს ჯამი სარჯო-აღრიცხვაში შეტანილია როგორც § XI „ბებია
2) ამაში შედის მუხ. 9 მოსალოდნელი ხარჯების გადიდებისა და ჯამა

ფ ლ 0 6 ხ ა რ ვ 0 1 - 5 ლ 6 0 0 6 3 5.

სინა- ხე ძ.		გრძელ- ვა. ძ.		ტუბე- ლი ძ.		ხონი. ძ.		სენაკი. ძ.	
მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
—	—	—	—	120	—	—	—	—	—
598.500	—	§ 1. 871.200	—	530.600	—	421.600	—	896.600	—
10.000	—	—	—	4.500	—	—	—	45.000	—
852.940	—	§ 2. 466.000	—	655.900	—	489.000	—	662.200	—
10.000	—	—	—	4.100	—	60.000	—	250.000	—
303.800	—	§ 3. 40.000	—	125.000	—	674.000	—	1.422.000	—
570.920	—	§ 4. 225.800	—	607.226	40	1.130.000	—	676.000	—
889.260	—	§ 5. 314.744	—	219.160	—	708.948	—	1.579.953	—
10.000	—	—	—	14.000	—	110.000	—	—	—
311.500	—	§ 6. 283.000	—	33.000 ¹⁾	—	377.240	—	887.600	—
200	—	—	—	—	—	—	—	—	—
114.000	—	—	—	45.500	—	108.000	—	—	—
—	—	—	—	—	—	§ 12. 1.500	—	506.675	—
—	—	270.203	—	—	—	—	—	—	—
71.800	—	102.072	—	23.256	89	3.652.772 ²⁾	—	215.000	—
—	—	890.000	—	—	—	—	—	—	—
—	—	1.226.000	—	—	—	—	—	—	—
226.350	—	163.907	—	—	—	116.000	—	—	—
3.969.270	—	4 857.926	—	2.262.363	29	7.849.120	—	7.141.028	—

ქალის, ჯამაგირის“—სახელწოდებით.

გირების მომატებისათვის 3.000.000 მან.

თბილისის ქალაქის გამგეობაში.

ქუჩებში გაჭრობის აკრძალვა. თბილისის ქალაქის გამგეობის საექი-
მო-სასანიტარო განყოფილებამ მოხსენება წარუდგინა თვითმართველობას
ქუჩებში ტკბილეულობით და ცივ სასმელებით ვაჭრობის აკრძალვის შე-
სახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ის საგნები, რომლითაც ვაჭრობენ
ქუჩებში არ შეადგენენ პირველ საჭიროების საგნებს. ამასთან ერთად სწო-
რედ ეს საგნები არიან ყოველგვარ გადამდებ სენის გამავრცელებელნი.

ამ მოსაზრებით განყოფილება წინადადებას იძლევა ამ აღნიშნულ საგ-
ნებით ქუჩებში ვაჭრობის მოსპობის შესახებ. ქალაქის თვითმმართველობა
დაეთანხმა განყოფილების მოსაზრებას და დაადგინა: აკრძალოს ქუჩებში
აღნიშნულ საგნებით ვაჭრობა.

— ქალაქის გადასახადი მცხოვრებთა საჭიროებისათვის. ქალაქის
თვითმმართველობამ, შრომისა და მცხოვრებთა სოციალურ დამხმარე გან-
ყოფილების მოხსენებით დაადგინა: მთელი ქალაქის გასართობებიდან შე-
მოსული გადასახადი მცხოვრებთა სოციალური დამხმარების განყოფილებას
გადასცეს. აქამდე ამ გადასახადის მხოლოდ 30 % იყო გადადებული ამ
განყოფილებისთვის. აღნიშნული გადასახადი თვეში 200.000 მან. მეტს
იძლევა.

ქალაქის მოურავი ბ. ჩხიცევიშვილი საბჭოს მოახსენებს ფუნიკულიორის
შეკეთების შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ფუნიკულიორს ჭირია
შეკეთება. მომხსენებელის აზრით საჭიროა რომ ფუნიკულიორის შეკეთება
და მოწყობა ქალაქმა იკისროს. ფუნიკულიორს შეკეთება დასჭირდება თვე
ნახევარი მაინც; ხარჯს ოხოულობს დაახლოებით 800.000 მანეთამდე. ეს
ციფრი მეტად დიდია, მაგრამ ფუნიკულიორის შეკეთება აუცილებელია:
